

ყვარლი

გამოცემის 1932 წლიდან

ფასი 40 თეთრი

გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს



ქრისტე აღსდგა!

აღდგომას წინ ყველაზე დიდი და მძიმე მარხვა უსწრებს. დღესასწაულის შესახებ მორწმუნეები სულიერად ემზადებიან. განსაკუთრებული მნიშვნელობა ბოლო კვირას ენიჭება. აღდგომამდე ერთი კვირით ადრე ბზობა – ანუ ქრისტეს იერუსალიმში დიდებით შებრძანება იზეიმება. ორშაბათიდან კი ვნების კვირული იღებს სათავეს.

ვნების კვირულში თითოეული დღე გარკვეული მნიშვნელობის მატარებელია. განსაკუთრებით გამოყოფენ ხუთშაბათს – საიდუმლო სერობის

დღეს, როდესაც მაცხოვარი ზიარების საიდუმლოს ანებს და ნითელ პარასკევს – ქრისტეს ჯვარცმის დღეს. ეს ყველაზე მძიმე დღეა თითოეული ქრისტიანისათვის. პარასკეობით ნითლად ღებავენ კვერცხებს, რაც მაცხოვრის მიერ ჩვენთვის დაღვრილი სისხლის სიმბოლოა.

ვნების კვირულის მძიმე დღეების დაგვირგვინებად კვირა – მაცხოვრის ბრწყინვალე აღდგომის დღესასწაული იქცევა. დღე, რომელიც ნებისმიერი მორწმუნესათვის უდიდესი სიხარულის მომტანია.

მაცხოვრის ბრწყინვალე აღდგომა

აღდგომა 12 საუფლო დღესასწაულს შორის ყველაზე მნიშვნელოვანია. ამ დღეს ქრისტე მკვდრეთით აღსდგა და ადამიანები პირველქმნილი ცოდვისგან დაიხსნა. მხოლოდ ამის შემდეგ გაიღო ადამიანთათვის სამოთხის ბჭე. ადამის მოდგმის მხსნელად მოვლენილმა მაცხოვარმა გოლგოთას მთაზე ჯვართან ერთად კაცობრიობის ცოდ-

ვა ზიდა. ოთხივე სახარების თანახმად, ღმრთისმშობლისგან უბინოდ შობილი ქრისტეს ჯვარცმა პარასკევს, ებრაელთა პასექის დღესასწაულზე აღესრულა. ეს უდიდესი მწუხარების დღეა ნებისმიერი მორწმუნესათვის. თუმცა მესამე დღეს – კვირას მწუხარებას სიხარული ენაცვლება და ქრისტიანები მაცხოვრის ბრწყინვალე აღდგომას ზეიმობენ.

აღდგომა მოძრაპვი დღესასწაული

ქრისტიანთა უდიდესი დღესასწაული – მაცხოვრის აღდგომა გაზაფხულზე, ახალი სტილით 4 აპრილსა და 8 მაისს შორის აღინიშნება. ეს უდიდესი მნიშვნელობის დღეა. ოთხი-

ვე სახარების თანახმად, ებრაელთა პასექზე, პარასკევს დღეს ქრისტე იერუსალიმში, გოლგოთაზე ჯვარს აცვეს. სამი დღის შემდეგ კი მაცხოვარი მკვდრეთით აღსდგა.

გისმოვთ სანოტარო ბიურო

ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში (ყოფილი რაისაბჭოს ალმასკომის შენობაში) მეორე სართულზე ფუნქციონირება დაიწყო სანოტარო ბიურომ, სადაც ოპერატიულად მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური იურისტები. ტელეფონი: 599 94 34 74

წმინდა ილია მართალი (ჭავჭავაძე)

„აღდექით ძილისაგან, მიდის ბნელი და მოვალს ნათელი“

ქრისტე აღდგა! აღდგა მაცხოვარი კაცობრიობის! მთელი ქვეყნის ქრისტიანობა გალობს დიდებულ საგალობელს ქრისტეს აღდგომისა. დიდი და პატარა ლაღდებს „ქრისტე აღდგა მკვდრეთით, სიკვდილითა სიკვდილისა დამთავრებული და საფლავების შინათა ცხოვრების მიმნიჭებელი“. ქრისტიანობამ იცის, რისთვის აქებს და ადიდებს ამ დღეს: მკვდრეთით აღდგა ქრისტე და აღადგინა თავისი კაცთა მხსნელი მოძღვრება, თავისი ახალი ცხოვრების მომნიჭებელი აღთქმა.

რით მოგვანიჭა ცხოვრება მკვდრეთით აღდგომისა ღმერთმა, ქვეყანაზე მოვლინებულმა, ვითარცა ჭეშმარიტმა ძემ კაცისამ? ძველი მოძღვრებისაგან განდიდებულს, გაპატივებულ ხორცს, რომელსაც მარტო „ქილი კბილისა ნილ შიოდა და თვალთა თვალისა ნილ“ მოკვდინებული ყავდა სული, რომელიც მარტო ყოვლად მხსნელის სიყვარულის სიხივით ნათობს, თებდა, ყვავის, ცოცხლობს და სულდგმობს. აი, ეს მკვდარი სული აღდგა მკვდრეთით ქრისტეს აღდგომით. რა საცხოვარი ძალი იყო ესოდენ ძლიერი, რომ მკვდარი სული მკვდრეთით აღედგინა? ეს იყო და არის მარტო ერთი მცნება, რომელიც ფესვად გაედგა, საძირკვლად დაედო მთელ მშვენიერ, დიდებულ, მართლაცადა ცხოვრების მომნიჭებელ მოძღვრებას ქრისტესას: „გოყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი“.



აი, მხსნელი კაცობრიობისა! აი, მაცხოვარი!... ამას გარდა, ადამიანს შევლა არა აქვს, თუ უნდა, რომ კაცად, ღვთის სახედ და მსგავსებად დარჩეს. ამ ყოვლად მაცხოვარს, ყოვლად მხსნელის ფესვზე ამოვიდა, გაიშალა, გადაფინა შტოები, აყვავდა მთელი დიადი ხე ახალი ცხოვრებისა, რომელსაც ახალი აღთქმა ქრისტიანობა ჰქვია და რომელსაც ეს მცნება, როგორც მზე, ანათებს და ათბობს. ამ მცნებამ გააპო კაცობრიობის ცხოვრება ორ დიდ ნაწილად და შუა გაუტარა დიდი კვალს საზღვრად. კვალს იქით დარჩა მოძღვრება შურისძიებისა, სამაგიეროს გადახდისა, ჯვარისა და მრისხანებისა, და კვალს აქეთ მოძღვრება ურთიერთობისა, ურთიერთ-სიყვარულისა, შენდობისა, მიტევებისა, მშვიდობისა, შეწყნარებისა. იქ რისხვა და მსჯავრია, აქ მშვიდობის ყოფა და მიტევება.

„არა კაც ჰკლა, არა იმრუშო, არა იპარო, არა ცილი სწამო, არა გული გითქმოდეს არარაზედ, რაცა იყოს მოყვა-

სისა შენისა“ — ამბობდა ძველი მოძღვრება ძველი ცხოვრებისა. რა არის ეს — ნუ მოკლავ, ნუ მოიპარავ, ნუ იმრუშებ, ნუ ცილს სწამებ, ნუ შეიშურებ? ეს ის არის, რომ ნუ იქმნე ბოროტს. მოვიდა ახალი აღთქმა, ახალი მოძღვრება ახალი ცხოვრებისა და გვეუბნება: არამც ნუ იქმნე ბოროტს, ჰქმენ კეთილი. დიდი მანძილია ბოროტის არქმენისა და კეთილის ქმნას შორის. ერთმანეთს არაფერში არ გვანან. ბოროტის არ ქმნა იგია, რომ არ მიაყენო ვნება მოყვასს, კეთილის ქმნა იგია, რომ სიკეთე მიანიჭო, სიკეთე უყო, საკმაო არ არის, რომ კაცი არ მოკლა, უნდა აცოცხლო კიდევ; საკმაო არ არის არა გამოსწორო რა, უნდა შესძინო კიდევ; საკმაო არ არის, არა ცილი სწამო, უნდა მართლად მიუზღავე კიდევ; საკმაო არ არის არა გული გითქმოდეს მოძმის კეთილისათვის, უნდა გიხაროდეს, მზიარულობდე კიდევ, უნდა შევლოდე, ხელს უწყობდე;

გაგრძელება მე-2 გვ. -ზე

მშრომელთა დღე- 1 მაისი

მიუხედავად იმისა, რომ 1 მაისი ჩვენში საბჭოთა კავშირის ასოციაციებს იწვევს, ეს დღე საბჭოთა კავშირის არაა. ის მუშათა საერთაშორისო დღეა, მშრომელთა დღე, რომელიც აღნიშნავს მშრომელთა ისტორიულ ბრძოლას მთელ მსოფლიოში. ეს დღე დაარსდა 8-საათიანი სამუშაო დღისთვის ბრძოლის დროს.

8-საათიანი სამუშაო დღის მოთხოვნის მოძრაობა სწრაფად იზრდებოდა, რადგან მუშებს აიძულებდნენ დღეში 10, 12 და 14 საათი ემუშავათ. 1886 წლის მაისის პირველი დღეებში აღინიშნა გაფიცვები და დემონსტრაციები აშშ-ს მასშტაბით. ჩიკაგოში, მაგალითად, დაახლოებით 90000-მა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა გამოსვლებში. თვეების განმავლობაში მიმდინარეობდა პროპაგანდა 8 საათიანი სამუშაო დღისთვის, 1 მაისისთვის უკვე 50,000-მდე მუშა იყო გაფიცული და თითქმის სრულიად გააჩერეს ჩიკაგოში წარმოება. მაგრამ 1886 წლის 3 მაისს პოლიციამ გაფიცულებს სროლა დაუწყო. გარდაიცვალა ოთხი და ბევრი დაიჭრა. განრისხებულები პოლიციის და სახელმწიფოს სისასტიკისგან ხალხი მეორე დღესვე შეიკრიბა პეიმარკეტ-სკვერზე. წვიმიანი დღის გამო საღამოს მხოლოდ რამდენიმე ასეული მომიტინგე დარჩა. სწორედ ამ დროს დაიწყო პოლიციამ სკვერისკენ მარშირება. როდესაც ანარქისტი სემუელ ფილდენი სიტყვით გამოდიოდა, ვილაქამ პოლიციას ბომბი ესროლა. ამას მოჰყვა პოლიციის მხრიდან მომიტინგეების მიმართულებით ცეცხლის გახსნა და მსხვერპლი ორივე მხარეს. მართალია ვერასდროს მოხერხდა იმის გარკვევა და მტკიცებულებების მოპოვება, თუ ვინ ისროლა ეს ბომბი (ეს ფაქტი მოგვიანებით, 1893 წელს ხელისუფლების წარმომადგენლებმა აღიარეს), მაშინვე დაიწყო მუშების დადანაშაულება და საბოლოოდ მოძრაობის



ყველაზე აქტიური 8 ანარქისტი დააკავეს: საბრალდებო დასკვნა წარდგინა ალბერტ პარსონსი, სამუელ ფილდენს, იუჯინ შვაბს, ადოლფ ფიშერს, აუგუსტ შპისს, გეორგ ენგელსს, ლუის ლინგს და ოსკარ ნებეს.

სასამართლომ 7 ბრალდებულს სიკვდილით დასჯა მიუსაჯა, ერთს კი 15 წლით პატიმრობა. ფილდენს და შვაბსს სიკვდილი სამუდამო პატიმრობით შეუცვალეს, ლინგმა თავი მოიკლა. 1887 წლის 11 ნოემბერს პარსონსი, ენგელი და ფიშერი ჩამოახრჩეს. მათ დასაფლავებას ათასობით მშრომელი დაესწრო. დღეს ამ 8 ანარქისტს ჰეიმარქეტულ წამებულებსაც უწოდებენ.

ჩიკაგოელი მუშების გაფიცვა სამაგალითოდ იქცა მუშათა განმანთავისუფლებელი მოძრაობებისთვის და დასაბამი დაუდო 1 მაისის, როგორც მუშათა უფლებებისთვის ბრძოლის საერთაშორისო დღედ აღიარებას.

რუსეთის იმპერიაში (რომლის შემადგენლობაში საქართველოც იმყოფებოდა) პირველი მაისი პირველად 1890 წელს აღინიშნა ვარშავაში მუშათა გაფიცვით. 1891 წელს პეტერბურგში სოციალ-დემოკრატიულმა ჯგუფმა მ.ბრუსნევის ხელმძღვანელობით ჩაატარა პირველი მაისის დემონსტრაცია.

საქართველოში პირველი მაისი პირველად 1898 წელს სოციალ-დემოკრატიულმა წრეებმა მოაწყვეს ქალაქგარეთ, რომელსაც 75 კაცი ესწრებოდა. 1899 წელს პირველი მაისი უფრო ორგანიზებული იყო: გამოუშვეს პროკლამაციები, რომელშიც იყო ასახული საპირველმართო ზემოთსიკვდილობა და მნიშვნელობა. პროლეტარების მიზანი და საშუალებები. თუმცა ფართომასშტაბიანი აქციები არ ჩატარებულა.

გაგრძელება მე-2 გვ. -ზე



რიად“). ამ საუბრის დროს სასწაულებრივად აენთო ორი კანდელი იერუსალიმის ტაძართან ახლოს ერთ პატრიარქსად აღგვარდა. (სადაც, როგორც გადმოცემით ამბობენ, განაზღვრა იქნა პატრიარქის სხეული უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი გარდასახვის შემდეგ.) ამ ამბის შეტყობისთანავე ქრისტიანებიც და მუსლიმანებიც იმ ადგილისკენ გაემხურნენ; როდესაც ქრისტეს საფლავს მიუახლოვდნენ არქივისკოპოსმა ქრისტოდულოსმა და „წარწყმედილმა აგარიანელებმა“ დაილუქეს საფლავი, რის შემდეგაც არქივისკოპოსმა ლოცვა დაიწყო. ამ დროს ემირიც ტაძარში იმყოფებოდა. ბოლოს, დაახლოებით ექვს საათზე არქივისკოპოსმა ღვთაებრივი სინათლე იხილა.

ჯერ კიდევ არაბთა ბატონობის დროს, მაჰმადიანი ისტორიკოსის ალ ბირუნის (1000წ.) მოწმობით ლიტანიის დაწყებამდე ტაძარში მოდიოდნენ მქე-

თავზე ამაღლებდა, საიდანაც მუსულმანები აკვირდებოდნენ ამ მოვლენას. ქრისტიანები ამ დღეს ტაძარში მოდიან, საფლავის გარშემო სხდებიან, ლოცულობენ და ევედრებიან უფალს შუადღიდან საღამომდე. მეჩეთის მუეძინი და ქალაქის ემირიც მოდის და საფლავთან ჯდება. მათ თან აქვთ კანდელები, რომლებსაც უშუალოდ საფლავში ტოვებენ, ხოლო საფლავს კი ამ დროს საფლავდავლოდ რაზვენ. ქრისტიანები აქრობენ სანთლებსა და კანდელს და ელოდებიან სვეტაკი, თეთრი ცეცხლის გარდასახვას, რომელიც კანდელს ანთებს. ეს ცეცხლი სხვა ეკლესიებსა და მქეთებშიც მოაქვთ. შემდეგ ცნობას ხალიფასაც უგზავნიან და აცნობებენ გარდასახვის ზუსტ დროს. გარდასახვის სისწრაფის მიხედვით ასევე, ნაყოფიერი იქნება თუ არა წელიწადი. იგივე წყარო ამბობს, რომ ერთხელ გუბერნატორმა

ცეცხლის გარდასახვის ნიშნები, თეთრი ნაპერკლეები, ჩნდება ჩარაზულ საფლავში, ალბის კარს და იქიდან ანთებენ კანდელს.

ქესარია-კაბადოკიის მიტროპოლიტი არეფი დამასკელ ემირს წერს: (Xს-ის დასაწყისი) „იერუსალიმის ემირი წმინდა საფლავთან დგას, რომელიც თავადვე დაბეჭდა, ხოლო ქრისტიანები წმინდა ადგილის ტაძარში დგანან და ელოდებიან „უფალს, შეგვიწყალებ“. მაშინ უცვრდელია ჩნდება და კანდელები თავად იწვებიან; იქიდან კი ცეცხლს იერუსალიმის მაცხოვრებლებს იღებენ“.

(ი. პაპადოპოლო-კარემესისა. – სამეფო კლირიკოსის ნიკიტას მონათხრობი. შეტყობინება იმპერატორ კონსტანტინე მე-7-სადმი, წმინდა ცეცხლის შესახებ, 947 წელი.)

პაპა ურბან II კლერმონში 1095 წელს, უამრავი ადამიანის წინაშე წარ-

ისტორიული ცნობები ადგილის ცეცხლის შესახებ

არაბი ისტორიკოსი მასუდი, (გარდ. 957 წელს.) რომელმაც პალესტინაში იმოგზაურა, ღვთაებრივ ცეცხლს თავის ორ ნაშრომში იხსენიებს: (926წ.) „იერუსალიმის ადგილის ტაძარში, დღესასწაულზე ქრისტიანები მთელი ქვეყნიდან იყრიან თავს, რადგან ამ ტაძარში ცეცხლი გარდასახვის, რომლიდანაც სანთლებს ანთებენ. იქ თავს იყრიან აგრეთვე ბევრი მუსულმანი“. „და აღაშენა ელენემ ტაძარი, რომელსაც ადგილის ტაძარი ეწოდება. სადაც დიდ შაბათს ცეცხლი ჩნდება, რომლის მომდევნო დილასაც აღდგომა დგება“.


არაბი მუსულმანი ალ-ჯაზირი (გარდ. 869წ.) თავის ნაწარმოებში „ცხოველების წიგნი“ კრიტიკულად იხსენიებს ღვთაებრივ ცეცხლს: „ტაძრის მცველები მუდმივად ცდილობენ ხალხისთვის სხვადასხვა ემპაქობების მოწყობას, თითქოს ბერების დამსახურებით იერუსალიმში, ადგილის ტაძარში, კანდელები ღამით მხოლოდ ერთ დღესასწაულზე თავისით იწვებიან“.

რახვას და იცავს მას. ყველა თავის ადგილზე რჩება მანამ, სანამ არ იხილავენ თეთრი ცეცხლის მსგავს სინათლეს, რომელიც საფლავის მიგინდან გამოდის. ამის შემდეგ მმართველ ალბს კარს და საფლავში შედის, მას ხელთ სანთელი უყურია, რომელსაც იგი გარდასახვის ცეცხლისგან ანთებს და გამოაქვს... იგი ამ ცეცხლს იმამს გადასცემს, რომელსაც იგი მეჩეთში მოაქვს... მმართველს კი ნერილობით ატყობინებენ, თუ რომელ დღეს და რა დროს გარდასახვა ცეცხლი.

როცა ღვთაებრივი ცეცხლი დილის ლოცვის დროს გადმოდის, ამბობენ, რომ წელიწადი არ იქნება ნაყოფიერი, თუმცა არც მშრალი. ხოლო თუ იგი გარდასახვისა და შუადღისას, თვლიან რომ ის წელი უმოსავლო იქნება“.

თის მუეძინები, იმამი და იერუსალიმის ემირი (გუბერნატორი). ისტორიკოსი წერს: „ისინი საფლავთან სხდებიან, მოაქვთ კანდელები, რომლებსაც საფლავზე დგამენ, ხოლო საფლავს კი კეტავენ. ქრისტიანები აქრობენ თავიანთ სანთლებსა და კანდელს და ასე რჩებიან მანამ, სანამ კანდელი წმინდა, თეთრი ცეცხლით თავისით არ აენთება. იქიდან ცეცხლი ეკლესიებსა და მეჩეთებში გადააქვთ. შემდეგ კი ხალიფას დედაქალაქში წერილს წერენ, სადაც ცეცხლის გარდასახვის დროს ატყობინებენ. გარდასახვის სისწრაფის და შუადღესთან სიახლოვის მიხედვით ასევე, თუ როგორი მოსავალი იქნება იმ წელს, ხოლო დაგვიანების შემთხვევაში კი თვლიან, რომ ის წელი უმოსავლო იქნება“.

(ი.უ. კარაჩოვსკი „ღვთაებრივი ცეცხლი“ ალ-ბირუნისა და სხვა მუსულმანი მწერლების (X-XIII ს.) მონათხრობის მიხედვით.)



ბრძანა ფითილი ლითონის ბანრით შეცვალა, იმ იმედით, რომ კანდელი არ ანთებოდა და სასწაულიც არ აღესრულებოდა, მაგრამ როგორც კი ცეცხლი გარდასახვიდა, ლითონის კანდელი აენთო. გარდასახვა უსსოვარი დროიდან დღემდე აღესრულება და გვაოცებს თავისი სიდიდით.

ახუ ელ აბას ახმადი X ს-ის სხვა პოლემისტების მსგავსად დაწერილებით აღწერს, თუ როგორ ხურანს მაცხოვრის საფლავის კარებს იერუსალიმის მუსლიმანი გუბერნატორი ცეცხლის გარდასახვის წინ, ხოლო როცა ღვთაებრივი

მოთქმულ ქადაგებაში განაცხადა: „ქმემარიტად ამ ტაძარში (უფლის საფლავში) სუფევს ღმერთი: ამ ტაძარში მოკვდა ჩვენი სულეისათვის და აქვე დაკრძალეს იგი. დღესდღეისობითაც არ წყვეტს მაცხოვარი სასწაულებების მოვლენას ჩვენთვის, რადგანაც თავისი ვენების წმინდა დღეებში, როცა ყოველგვარი ცეცხლი ჩამქრალია საფლავის თავზე და მთელ ტაძარში, უეცრად ყველა კანდელი იწვება. რომელ გულს არ მოალობს ასეთი სასწაული, რაც არ უნდა გაქავებული იყოს იგი“.

martmadidebloba.ge

ქრისტეს აღდგომის ტაძარი იერუსალიმში



ეს ტაძარი მრავალი მილიონი ადამიანისათვის ყველაზე წმინდა ადგილია. ქრისტიანულ სამყაროში ეს ყველაზე მნიშვნელოვანი ტაძარი გახალავთ. იმავდროულად, ის სხვადასხვა ქრისტიანულ კონფესიათა დაპირისპირების უმთავრესი მიზეზიც არის, რაც X|| საუკუნეში დაიწყო. კონფესიათა წარმომადგენლები ტაძარში უკეთესი ადგილის მოსაპოვებლად იბრძოდნენ. ისინი ყოველ ღამით შესასვლელთან იკრიბებოდნენ და ცხარედ კამათობდნენ. 1852 წელს 6-მა კონფესიამ — მართლმადიდებლები, კათოლიკეები, სირიელები, სომხები, კოპტები და ეთიოპიელები — თურქეთის სულთნის გავლენით ხელშეკრულებას მოაწერეს ხელი, რომლის თანახმადაც, მათ ტაძრის თითოეული სანტიმეტრი გადაიწიანდა.

ქრისტეს საფლავის ტაძრის მრევლი 100 ათასამდე ადამიანს ითვლის, მათი უმრავლესობა არაბები არიან, თუმცა ყველაზე დიდი გავლენით ბერძნები სარგებლობენ. წმინდა მიწაზე ქრისტიანობის უმთავრესი დამცველები სწორედ ისინი იყვნენ, რაც უფრო მათი დიპლომატიური ნიჭის დამსახურებაა. კონსტანტინოპოლის პატრიარქს ახლო ურთიერთობები ჰქონდა სულთნის კართან, ამიტომ ბერძნები იერუსალიმში მეტად დიდი შეღავათებით სარგებლობდნენ. დიდი ხნის განმავლობაში თურქეთის მთავრობა ქალაქის ქრისტიანულ კონფესიათა შორის მხოლოდ მართლმადიდებლებს აღიარებდა. შედეგად, იერუსალიმის წმინდა

ადგილების უმრავლესობას ბერძნები აკონტროლებდნენ. კათოლიკურმა დასავლეთმა ჯვაროსნული ომების შემდეგ დაკარგული ავტორიტეტი არცერთ დიდ ხნის წინ დაიბრუნა. დღესდღეობით ყველა კონფესია 1852 წელს დადებული ხელშეკრულების მიხედვით მოქმედებს.

ჯვაროსანთა „გმირების“ გამო კათოლიკეებს წმინდა მიწაზე საუკუნეების განმავლობაში არ უშვებდნენ. კათოლიკური ეკლესიის პოზიციების გამყარება X||-|X საუკუნეებში დაიწყო, როდესაც იერუსალიმში ფრანკისკანელთა ორდენი დამკვიდრდა. X|X საუკუნეში სხვადასხვა პროტესტანტულმა ორგანიზაციებმა იერუსალიმში მისიონერული საქმიანობა დაიწყეს. შედარებით დიდ წარმატებას ინგლისელებმა მთავარი აქცენტები ებრაელებზე გააკეთეს, თუმცა რამდენიმეწლიანი შედეგი ამახსნა არ მოჰყოლია.

ტაძრის მშენებლობის ისტორია || საუკუნეში იწყება. რომის იმპერატორმა ადრიანემ (119-138) გოლგოთაზე ეგვიპტის, ხოლო ქრისტეს დასაფლავების ადგილზე იუპიტერის ტაძრების აშენება ბრძანა. შესაბამის ადგილებზე რომაელი ღმერთების ქანდაკებები დაიდგა, თუმცა მშენებლობა ბოლომდე არც დასრულებულა. 326 წელს იმპერატორ კონსტანტინე ||-ის დედამ ელენემ აქ ტაძრის მშენებლობა დაიწყო, რომელიც 335 წელს დასრულდა. 614 წელს ტაძარი სპარსელებმა დაარბიეს, 15 წლის

შემდეგ ის აღადგინეს. მსგავსი ისტორია არაერთხელ განმეორდა.

1009 წელს არაბი ხალიფას ალ ჰაქიმის ბრძანებით არაბთა მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე ქრისტიანული ეკლესიები მთლიანად განადგურდა, მათ შორის ადგილის ტაძარიც. 1036 წელს მუსლიმებმა ბიზანტიის იმპერატორს მიხილ ||-ს ტაძრის აღდგენის უფლება მისცეს. მომდევნო იმპერატორმა კონსტანტინე მონომახმა ქრისტეს საფლავის ზემოთ მდებარე როტონდა შეცვალა და ტაძარს გააღრმავა და აღმოსავლეთის აბსიდი დაუმატა. 1099 წელს იერუსალიმი ჯვაროსნებმა დაიკავეს. მათ ტაძარი არ მოეწონათ და მისი გადაკეთება დაიწყეს. ახალი ტაძარი 1149 წელს აკურთხეს. მას შემდეგ ტაძარი კიდევ რამდენჯერმე დაზიანდა, მაგრამ ჯვაროსნების მიერ მინიჭებული გოთური სტრილი დღემდე შეინარჩუნა.

თუმცა კათოლიკური სახურავის ქვეშ მართლმადიდებლური გავლენა იგრძნობა. მართლმადიდებელთა ტაძარში ყოფნის კვალი შესასვლელშივე გვხვდება. ტაძრის შესასვლელში ორი თაღია. ერთი ქვით არის ამოყვებული, მეორეში კი ხის დიდი კარბეჭა განთავსებული. ხის კარბეჭად მარცხნივ სამი სვეტია აღმართული, რომლებიც თაღს ამხარებენ. ერთი მათგანი ძირში არის გახლებილი. გადმოცემის თანახმად, რამდენიმე საუკუნის წინ, მართლმადიდებლებს სააღდგომო მსახურების ჩატარებაზე უარი უთხრეს, რომლის დროსაც ზეციდან ღვთაური ცეცხლი გადმოდის. სომხები ქრისტეს სამართთან (კუველკია) ღვთაური ცეცხლის გადმოსვლას ამაოდ ელოდნენ. ცეცხლოვანი ალი სვეტს დეცა და ის გახეთქა, ხოლო ბერძენმა პატრიარქმა ღვთაური ცეცხლი სააღდგომო სანთელზე გადაიტანა.

ტაძრის შენობის შესასვლელში მორცხვების ქვა დგას, რომელიც მოგონი მარმარილოს მონოლითს წარმოადგენს. გადმოცემის თანახმად, სწორედ ამ ქვამ დაასვენეს იესო ქრისტე ჯვრიდან გარდასახვის შემდეგ. მომდევნო განყოფილება მრგვალი ოთახი — როტონდა — გახლავთ. ცენტრში ვარდისფერი მარმარილოსაგან დამზადებული სამრეკლო დგას. კედლებში ორი ჭრილია, ღვთაური ცეცხლის გადასანოდებლად. ქრისტიანულ კონფესიათა დაპირისპირებამ აქაც იჩინა თავი: წრდილოეთ ჭრილი მართლმადიდებლებისთვის არის განკუთვნილი, ხოლო სამხრეთი — სომხებისთვის. კა-

თოლიკეები ღვთაური ცეცხლის სასწაულს არ აღიარებენ.

როტონდის მეორე ნაწილში ქრისტეს საფლავია. მისკენ დაბალი გასასვლელი მიემართება, ამიტომ ადამიანს ნებისთი უნებლიეთ ქედის მოხრა უწევს. სამარხი მეტად ვიწროა, ამიტომ ბერძენი მცველი მხოლოდ ორ-სამ მლოცველს უშვებს. სამარხს კედელზე ოთხ რიგად დამაგრებული სანთები ანათებს. კონფლიქტების თავიდან აცილების მიზნით, მათი რაოდენობა დადგენილია და 1852 წელს ქრისტიანულ კონფესიათა შორის დადებული ხელშეკრულებაში არის შეტანილი. 13 კათოლიკეებს ეკუთვნით, 13 სომხებს, ანდენივე მართლმადიდებლებს.

სწორედ აქ, ადგილის წმინდა მიწის, ნაშუადღევს ერთსა და იმავე დროს ღვთაური ცეცხლი გადმოდის. მისი მიღების პროერგატეცია მხოლოდ მართლმადიდებლებს აქვთ. დადგენილი ტრადიციის მიხედვით, ყოველგვარი „ჩანყობისაგან“ თავის ასარიდებლად, პარასკევ ღამით ტაძარში სინათლეს აქრობენ, როტონდას ჩხრეკენ და კარს ლუქავენ. შაბათს იერუსალიმის პატრიარქს ტანსაცმელს უსინჯავენ, რათა მან რამე ასანთები მოწყობილობა არ შეიქმნას. ამის შემდეგ კარს ლუქს ხსნიან და პატრიარქი ქრისტეს საფლავის სამრეკლოში შედის. მცირე დროის შემდეგ, მხურვალე ლოცვის შედეგად ზეციდან ღვთაური ცეცხლი გადმოდის. პატრიარქი ღვთაური ცეცხლით სანთლებს მეკვრას ანთებს (თითოეულ შეკერაში 33 სანთელია) და ტაძარში მყოფთ

გადასცემს. რამდენიმე წუთის შემდეგ იერუსალიმის ქუჩები ღვთაური ცეცხლით ანთებული სანთლებით ნათდება.

მორცხვების ქვის მარჯვნივ, ორი კიბე გოლგოთაზე ადის. გადმოცემის თანახმად, აქ მდებარეობს ადგილი, რომელზედაც ქრისტე ჯვარზე გააკრეს. იატაკზე მოთავსებულ ვერცხლისფერ დისკს მრგვალი ჭრილი აქვს — ის აღნიშნავს ადგილს, სადაც ჯვარი იყო დასმული. მის გვერდზე ორი შავი წრით აღნიშნულია ქრისტესთან ერთად დასჯილი ავაზაკების ჯვარცმის ადგილი. აქვე მგლოვიარე ღვთისმშობელი ხატია, რომელიც დროდადრო ტრისის. გოლგოთის ქვემოთ კიდევ ერთი სამრეკლოა. მის იატაკში ნაპრალია — ქრისტეს ჯვარცმის შემდეგ მომხდარი მინისჭრის შედეგი. ქრისტიანები ნაპრალის სიგანეს ყოველწლიურად ზომიან. ამ მაჩვენებლის ზრდა აპოკალიფსისის მოახლოების ნიშანი გახლავთ.

უკვე ცხრა საუკუნეა, ქრისტეს საფლავის ტაძარი ქრისტიანთა მთავარ სამლოცველოს წარმოადგენს. ადგილის დღესასწაულზე მის გარშემო ასიათასობით მლოცველი იკრიბება. თუმცა მთელი ამ დროის განმავლობაში არ წყდება დაპირისპირება სხვადასხვა ქრისტიანულ კონფესიათა შორის. ხშირად მათი ურთიერთობები მხოლოდ თეოლოგიური დისკუსიით არ შემოიფარგლება. რაოდენ სამწუხაროც უნდა იყოს, იერუსალიმის ადგილის ტაძარი — ქრისტიანობის უწმინდესი ადგილი — თვით ქრისტიანობაში არსებული დაპირისპირების სიმბოლოც არის.



„შილდის განვითარების ფონდის“ მიერ წარმოდგენილი ანგარიშმა დაბნანახვა, რომ სოფლის მოსახლეობის ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად მნიშვნელოვანი პრობლემები მოაგვაროს...

ქრისტიანულმა სარწმუნოებამ საუკუნეების მანძილზე უდიდესი სამსახური გაუწია ჩვენს ქვეყანასა და მის ხალხს. ქვეყნის სახელოვანმა წინაპრებმა ქრისტიანული რწმენა ჩვენამდე შეუბღალა, შეუბღალა მოგვითა, მის გადასარჩენად კი ხმლითა და მახვილით უხდებოდათ თავგანწირული ბრძოლა შემოსული ურდოებისა და მანქურთების წინააღმდეგ, რომლებიც თავგამოდებით ცდილობდნენ ქართველებს უერყით მართლმადიდებლობა და საკუთარ რწმენაზე გადაეყვანათ ისინი. საბედნიეროდ, მათი მცდელობა უფლის შემწეობით განწირული იყო.

სამწუხაროდ, მე-20 საუკუნის საქართველოში რელიგიას დიდი ბრძოლა გაუწარა რევოლუციით მოსულმა საბჭოთა ხელისუფლებამ, რაც მათი უდიდესი შეცდომა იყო.

ჩვენი თაობის ადამიანებს კარგად ახსოვთ, თუ როგორ დამოკიდებულა სუფევდა რელიგიის მიმართ სოციალიზმის მშენებლობის წლებში. საქართველოში ფაქტურად მოქმედი ეკლესიები თითზე ჩამოსათვლელი იყო, ისინი მხოლოდ დიდ ქალაქებში ფუნქციონირებდნენ, ადამიანებს ემინოდათ სალოცავებში შესვლის, რადგან მათ მიმართ მკაცრი ზომები იქნებოდა გამოყენებული. შესანიშნავი ტაძრები და მონასტრები უპატრონოდ იყო მიტოვებული, ინგრეოდა და იშლებოდა საუკუნეებამოვლილი შესანიშნავი ქართული ხუროთმოძღვრებით დამშენებული ძეგლები და შენობები.



ბავშვობის პერიოდში მახსოვს, თუ როგორ მდგომარეობაში იყო სოფელი შილდის თავში არსებული მარამ ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია. ეკლესიის გარშემო ისტორიული ციხე-გალავნის ნარჩენებია იყო, ეკლესია კოლმეურნეობის მარცვლეულის შესანახ საწყობად იყო გამოყენებული, კედლები ჩამონგრეული იყო, ხოლო სახურავზე ხეები და ბუჩქები ხარობდა.

მაშინდელი მთავრობის რეპრესიული ღონისძიებების და ათეისტური პროპაგანდის მიუხედავად ადამიანების უმრავლესობამ არ უღალატა ქრისტიანულ რწმენას და მალულად სტუმრობდნენ მიტოვებულ სალოცავებს, ინგრედიან პირფარს, ანთებდნენ სახილავს, ლოცულობდნენ და უფლისადმი პატივისცემას გამოხატავდნენ.

მეოცე საუკუნის ბოლოს ოთხმოციან წლებში გარკვეულწილად შერბილდა რეპრესიული მიდგომა ეკლესიისადმი და რეგონებსაც დართეს ნება მოქმედი ეკლესიები გახსნილიყო. ყვარლის რაიონში ქ. ყვარლის იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესია გახდა მოქმედი და სწორედ ამ ეკლესიაში მოხდა საქართველოს პატრიარქის, ილია II-ის მიერ ილია ჭავჭავაძის წმინდანად შერაცხვა.

საქართველოს დამოუკიდებლობამ ქართულ ხალხს უფლის მიმართ სიყვარულისა და პატივისცემის თავისუფლად გამოხატვის შესაძლებლობა მისცა და ამის შემდგომ, დაიწყო ქარ-

თული მართლმადიდებლური ეკლესიის აღორძინება.

ყვარლის მუნიციპალიტეტში ვითარება სასიკეთოდ შეიცვალა და თითქმის ყველა სოფელში მოქმედი ეკლესია, იმატა მრევლის რაოდენობამაც და ხალხმრავლობა წირვა-ლოცვების დროს.

ნეკრესის ეპარქიის მიტროპოლიტის, მეუფე სერგის ლოცვა-კურთხევით და თავდაუზოგავი მოღვაწეობით ეპარქიის ეკლესია-მონასტრები აღორძინდა და გამშვენიერდა. განსაკუთრებულ მონონებას იმსახურებენ გრემისა და ნეკრესის სამონასტრო კომპლექსები.

სასიხარულოა, რომ ეკლესიების აღდგენის პროცესი არ გაჩერებულა და დღესაც მიმდინარეობს. გაოცებული დაფრჩხი, როცა შილდის მარამ ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიაში მივედი და იქ არსებულ გარემოს გავეცანი. ციხე-გალავანი აღუდგენიათ, ხოლო განახლებული ეკლესია დიდებული სანახავია ეზოში გაშენებული ყვავილნარით.

სოფელ შილდის განვითარების ფონდის ინიციატივით, მამა პეტრეს ლოცვა-კურთხევით, სოფლის მოსახლეობის ერთუზიანად ეკლესიის წინამდებარე ტერიტორია გაუშენდა და სკვერის მშენებლობა მიმდინარეობს. დაიწყო კვიპაროსის ნერგები, ღობის მონყობის მიზნით ჩასხა ბეტონის საძირკველი, გაკეთდა ბორძიურები. ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიამ, ნაომარ ველს რომ შვავდა, სრულიად ახალი, სასიამოვნო იერ-სახე მიიღო.



ლათა და სასაფლაოზე არსებული ხეები, რომლებიც სამშრომლებს უქმნიდნენ საფლავებს, მოიჭრა და შემის სახით დაურიგდათ გაჭირვებულ მოსახლეობას. ასევე დაიბედა კულტურის სახლთან არსებული ჭაღრები.

ვინაიდან სოფელში ქუჩების დასახლება აღარ არსებობს, სახანძროსა და სასწრაფო დახმარების მანქანებს უჭირთ მისამართის დადგენა, ამიტომ, ფონდის ინიციატივით განიხილეს ეს საკითხი, გაატარეს ღონისძიებები და უახლოეს ხანში ყველა ქუჩას სახელი მიენიჭება.

საზოგადოებრივი ცენტრის მიმდებარე ტერიტორიაზე ე.წ. „ბულვარში“ დაიწყო სკვერის კეთილმოწყობის სამშენებლო სამუშაოები. პროექტის ღირებულება 170 ათასი ლარია და მისი დამთავრება მოხდება ივნისის ბოლოს.

სარემონტო სამუშაოები განხორციელდება კულტურის სახლში. პროექტი დაფინანსებულია ყვარლის მუნიციპალიტეტის მიერ სოფლის პროგრამებზე გამოყოფილი ტრანსფერით, რომელიც საავარაუდოდ ზამთრში დაიბედა.

შილდის მე-2 საჯარო სკოლაში მიმდინარეობს საპროექტო სამუშაოები გათბობის სისტემის დასამონტაჟებლად და სპორტდარბაზის რემონტისათვის.

ყვარლის მუნიციპალიტეტმა და შილდის განვითარების ფონდმა ერთობლივად დაიწყო ვეცის-ხევისა და ტურისციხის მოსახლეობისათვის შეტად მნიშვნელოვანი დაზიანებული სარწყავი არხის სა-

რემონტო სამუშაოები და რწყვის სეზონის დაწყებამდე დაამთავრებენ.

განმუხტო სამუშაოები მიმდინარეობს სარწყავი არხების დაწყებული რეკონსტრუქციის კონსტრუქციების ჩამოსხმა, რომელიც წლის ბოლომდე ჩაენწყობა ახლად მოასფალტებული გზის მიმდებარე სარწყავი არხის I კმ.-ზე.

მარამ ღვთისმშობლის ეკლესიის წინ სკვერის კეთილმოწყობის სამუშაოები გაგრძელდება, შემოიღობება, რათა პირუტყვმა არ დააზიანოს, მოენწყობა დასაჯდომი სკამები.

ზემოაღნიშნული ინფრასტრუქტურული პროექტები „შილდის განვითარების ფონდის ინიციატივითა და მხარში დგომით მიმდინარეობს. მომავლისათვის სოფელში ორი პრობლემა დაჩრება მოსაგვარებელი. პირველი პრობლემა სასმელ წყალს ეხება. იმისათვის, რომ მთლიან სოფელს „წინმატიანის“ სასმელი წყალი მიწოდოს, საჭიროა შიდა წყალსადენის დარჩენილი ძველი მაგისტრალის განახლება. მეორე პრობლემა კი ეხება გზებს, რომელთაც მოხრეშვა და მოასფალტება ესაჭიროებათ.

შემდეგ ბატონმა ჯემალმა დამსწრე საზოგადოებას გააცნო სოფელ შილდასა და პორტუგალიის სოფელ კუბას შორის მემორანდუმის პროექტი, რომელიც დამეგობრებასა და თანამშრომლობას ითვალისწინებს.

ბოლოს განიხილეს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წესდება და გადაწყვიტეს მოახდინონ




მისი რეგისტრაცია. კოოპერატივის მიზანია შექმნას სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამამუშავებელი საწარმო, რომელიც იქნება მხოლოდ მეპაიეების საკუთრება და საწარმოში მიღებული მოგება გადანაწილდება შეტანილი პაის პროპორციულად. სოფლის ყველა მაცხოვრებელს შეუძლია გახდეს კოოპერატივის წევრი, თუ გადაიხდის მინიმალურ თანხას.

შილდის მკვიდრმა ზაალ მჭედლიძემ, რომელიც ათეული წლების განმავლობაში მუშაობდა კახეთში არსებული ეკლესია-მონასტრების აღდგენაზე, დააყენა წინადადება „ბულვარში“ დაგრეული ბაზილიკის აღდგენაზე. მან აღნიშნა, რომ აქვს აღნიშნული ბაზილიკის სირვანდელი სახით აღდგენისათვის მონახაზი და სოფლის მოსახლეობის ნებაზეა დამოკიდებული მისი მშენებლობის განხორციელება.

მიხეილ მამუკიშვილმა კი ილაპარაკა „ჩუხჩუხასთან“ გამომავალი სასმელი წყლის უნიკალურ თვისებებზე და ფონდის ხელმძღვანელობას სთხოვა იფიქრონ მის ჩამოსხმაზე და რეალიზაციაზე.

შილდის განვითარების ფონდის მიერ წარმოდგენილი ანგარიშმა დაგვანახა, რომ სოფლის მოსახლეობის ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად მნიშვნელოვანი პრობლემები მოაგვაროს და მომავალშიც უნდა ველოდით სასიკეთო ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას.



ფრენბურთი — უმაღლესი ლიგა

ყვარალი ეროვნული ჩემპიონატის მეორე პრიზიორია

15-17 აპრილს თბილისში გაიმართა საქართველოს 2015-2016 წლების ეროვნული ჩემპიონატის ფინალური ტური ფრენბურთში უმაღლესი ლიგის ვაჟთა გუნდებს შორის. აქ ერთმანეთს დაუპირისპირდნენ წინასწარი თამაშების შემდეგ ფინალურ ეტაპზე გასული თბილისის, ცაგერის, ყვარლისა და ქუთაისის გუნდები. ჩვენი რაიონის სპორტის ქომბატებს, გაზეთ „ყვარლის“ ფურცლებიდან, გასული წლის 31 დეკემბრის ნომერში ვამცნეთ თბილისში ჩატარებული პირველი ტურის შედეგები, სადაც ყვარლებმა ფრენბურთებმა წარმატებული სტარტი აიღეს. მას შემდეგ გაიმართა კიდევ ორი ტური: მარტის დასაწყისში ქუთაისში, ხოლო მარტის ბოლო რიცხვებში ყვარლებში, სადაც ჩვენმა გულშემატკივრებმა საკუთარი თვალთახილეს ყვარული ფრენბურთელების თამაში. საერთო ჯამში ჩვენი ფრენბურთელების გაოსვლა სამეფო ტურის წარმატებულად უნდა მივიჩნიოთ, რადგან ისინი მყარად ინარჩუნებდნენ პოზიციებს ჩემპიონატის ლიდერთა შორის. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის გარემოება, რომ უკვე ორი ტურის შემდეგ ჩვენმა გუნდმა გაინაღდა ადგილი პირველ ოთხეულში და ყვარლებში გამართულ მესამე ტურს ფაქტობრივად ფორმალური მნიშვნელობა შექონდა, რომელიც ჩვენთვის ფინალური ეტაპისათვის მოსამზადებელი პერიოდის ნიშნით განიხილება.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ არაერთი სერიოზული ხელისშემშლელი პრობლემის მიუხედავად, რაც გამოიხატა წამყვანი მოთამაშეების ტრავმებით და სხვა ყოფილი ცხოვრებისეული გარემოებით, ჩვენ შევძელით ჩემპიონატის დასკვნითი ეტაპისათვის სათანადოდ დონეზე მომზადება და ფინალურ თამაშებში ღირსეულად გამოვსულა.

უძლიერესი ოთხეული ნახევარფინალებში ასეთნაირად დანაწილდა: თბილისის ნაკრები მედარებით იოლი მეტოქე ერგო ქუთაისის გუნდის სახით და ასევე იოლად გადალახა ეს ბარიერი — 3:0. მეორე ნახევარფინალში კი ერთმანეთს

ძველი მეტოქეები — ცაგერი და ყვარული დაუპირისპირდნენ.

აღსანიშნავია, რომ ჩვენმა გუნდმა ყვარლებში გამართულ მესამე ტურში ცაგერთან გამართულ შეხვედრაში მარცხი იწვნია, თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჩვენ ამ თამაშსაც ფინალური ეტაპისთვის მზადების ნიშნით განვიხილავდით და ასეთი შედეგისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა არ მივინიჭებთ. მიზანი ერთი და ყველასათვის ნათელი იყო — ჩემპიონატის დასაწყისიდანვე დავისახეთ ამოცანა, რომ ფინალში უნდა გვეთამაშა და ამისათვის ყველანი მობილიზებული ვიყავით. გუნდი კარგად მოემზადა და მეტოქეს სურპრიზიც მოეწვინა: მუხლის რთული ოპერაციის შემდეგ გუნდს დაუბრუნდა და სასტარტო შემადგენლობაში დაეაყენეთ ძირითადი გამთამაშებელი გუნდის კაპიტანი გიორგი ექიზაშვილი, რამაც საგრძობად გააძლიერა ჩვენი პოზიციები.

უნდა ითქვას, რომ გულშემატკივრელები არც ჩვენი მეტოქეები მედარად და ცაგერი საგანგებოდ ემზადებოდა გადამწყვეტი თამაშისათვის. მათ სერიოზულად გააძლიერეს გუნდის შემადგენლობა მონაცემთა თბილისელი ლეგიონერებით (სხვათა შორის ორი თბილისელი ლეგიონერი საქართველოს ნაკრების წევრები არიან). ამასთან არც მალავდნენ, რომ ჩვენ იოლად გავგისწორებოდნენ და ფინალში კი თბილისთან გამარჯვებასაც გვემეფებინა, ერთი სიტყვით, უმაღლესი შედეგის მიღწევას აპირებდნენ. ფრენბურთის ახალი სპორტული არენა ცაგერელი გულშემატკივრებით იყო გადატენილი. თამაშზე ჩამოყვანილი ჰყავდათ ცაგერის პარლამენტარი დეპუტატი, ცაგერის რაიონის გამგებელი და რაიონის მთელი ელიტა. თამაშის მიმდინარეობის გადასაღებად დაამონტაჟეს ვიდეოკამერები. ერთი სიტყვით, ყველა პირობა შექმნეს მომავალი ზეიმისათვის, რისიც ძალიან სჯეროდათ. თუმცა, რატომღაც იფრთხილდნენ ძველ ჭეშმარიტებას, რომელიც ლაღადებს, რომ ჯერ უნდა გადახტე და მოჰლა მერე დაიხახო!

ჩვენთვის უჩვეულო და რამდენადმე გულდასანწყვეტი მხოლოდ ის იყო, რომ საკუთარი გულშემატკივრები არ გვეყვოდა და დარბაზში ვერც ერთ ყვარელს ვერ ვხედავდით. სამიოდე გოგონას გარდა და კიდევ ერთი — ჩვენს გუნდს თავგადაკლული ქომაგობდა ერთი ქალბატონი — ბათუმის გოგონათა გუნდის მწვრთნელი, რისთვისაც უზომო მადლობა მას!

თამაში კი უჩვეულოდ დაძაბული და დრამატული გამოვიდა. პირველი პარტია მეტოქეთა უპირატესობით დაიწყო და თავიდანვე რამდენიმე ქულით დანიშნულდნენ. შემდეგ ჩვენმა ბიჭებმა შეძლეს თამაშის დალაგება, მაგრამ დასაწყისში იმხელა ფორა მივეციტ მონინააღმდეგეს, რომ მისი ამოქაჩვა ვეღარ მოვახერხებთ და პარტია ნავაგეთ — 20:25. მეორე პარტიაში დასაწყისიდანვე დავინაურდით ისე, რომ სტაბილურად ვინარჩუნებდით ორ-სამქულიანი უპირატესობას და ამ პარტიის შედეგიც ლოგიკური იყო — 26:24 ჩვენს სასარგებლოდ. მესამე პარტიაში კი მეტოქეს არავითარი შანსი არ დაუტოვებთ, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით გავანადგურეთ — 25:15 და პარტიების ანგარიშში დავინაურდით — 2:1. მონინააღმდეგე თითქოს საბოლოოდ გავტყუებთ, იმდენად დათრგუნულნი ჩანდნენ, მაგრამ მათდა სასახელოდ, შეძლეს ძალების მოკრება და მეოთხე პარტიაში თამაშის გათანაბრება. ჩვენი გუნდი კი ოდნავ მოდუნდა, რაც პარტიის ნაგებად დაგვიჯდა — 22:25. ანგარიში გათანაბრდა 2:2 და ყველაფერი მეხუთე, გადამწყვეტ პარტიაში უნდა გადაწყვეტილიყო.

ამ პარტიაში თამაში, როგორც იტყვიან, ქულა-ქულაზე წავიდა. მოედნები ციცივალა მაშინ, როცა ანგარიში იყო 3:3. მონინის სასარგებლოდ. შემდეგ ანგარიში იცვლებოდა ასეთი თანმიმდევრობით — 9:7, 11:9, 12:11 და აქ უკვე მეექვსეტი ანგარიშის გათანაბრება 12:12, შემდეგ კი დანიშნურებაც 14:13, გამარჯვებამდე ერთი ქულადა რჩებოდა, მაგრამ მეტო-



ქე კვლავ ათანაბრებს ანგარიშს 14:14. თამაშის ყველაზე დრამატული მომენტებიც აქედან დაიწყო. ერთხელ ცაგერს შექონდა მატჩ-ბოლი 15:14-ზე, ორჯერ კი ჩვენ ვერ გამოვიყენეთ მატჩ-ბოლი 16:15-ზე და 17:16-ზე. ამ ურთულეს სიტუაციაში, როცა ერთი შეცდომაც კი შეიძლება საბედისწერო გამხდარიყო. ჩვენმა ფრენბურთელებმა ნებისყოფის შესაბამისი სიმტკიცე გამოავლინეს და გადაწყვეტ მომენტებში უშეცდომოდ ითამაშეს. ბოლო აკორდში მათ დამაჯერებლად აიღეს ორი ქულა და გადაწყვეტი პარტიაც თავის სასარგებლოდ დაასრულეს 19:17.

საბოლოოდ 3:2 ყვარლებმა ფრენბურთელთა სასარგებლოდ, ასე დამთავრდა ეს ნახევარფინალური შეხვედრა, რომელიც თითქმის სამ საათს გაგრძელდა. ეს იყო ფინალური ნახევარფინალში, ბრძანა საქართველოს ფრენბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა პაატა ულუმბელაშვილმა.

შეჯიბრების დასკვნით დღეს მესამე ადგილისათვის მატჩიც ცაგერმა მოუგო ქუთაისს — 3:2, ხოლო ფინალური თამაში თბილისისა და ყვარლის ფრენბურთელებს შორის მოიგეს დედაქალაქის სპორტსმენებმა — 3:0. აქ მეტნაკლებად თანაბარი ბრძოლა იყო პირველ პარტიაში, რომელიც 22:25 ნავაგეთ. ჩვენს გუნდს აშკარად ემჩნეოდა წინა დღის უდიდესი ფიზიკური და ემოციური დატვირთვის კვალი, რის შემდეგაც ძალების სრულყოფილი აღდგენა და რეაბილიტაცია ვერ შეძლეს. ობიექტურად კი დღეს

თბილისის გუნდი, რომელიც ფაქტობრივად საქართველოს ნაკრები, ჯერჯერობით მართლაც უძლიერესია და სამართლიანად იმსახურებს კიდევ ჩემპიონის ტიტულს.

ამრიგად, სპორტული კლუბი „ყვარელი“ უკვე მესამედ გახდა საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის მფლობელი უმაღლესი ლიგის გუნდებს შორის, რაც უდავოდ დიდი წარმატებაა. სასიამოვნოა და მისასალმებელი, რომ ჩვენმა ფრენბურთელებმა ორწლიანი ინტერვალის შემდეგ კვლავ დაიბრუნეს მეორე პოზიცია საქართველოში, დედაქალაქის შემდეგ.

იმედია, რომ მომავალში, რაიონის ხელმძღვანელობისა და ერთგული ქომაგების თანადგომით ჩვენი ფრენბურთელები შეძლებენ პოზიციების კიდევ უფრო გაუმჯობესებას და ახალი წარმატებებით გაახარებენ ფრენბურთის მოყვარულთა მრავალათასიან არმიას.

საქართველოს XXV ეროვნულ ჩემპიონატში სპორტული კლუბი „ყვარელი“ ასეთი შემაჯობებით გამოდგინდა: გიორგი ექიზაშვილი (კაპიტანი), მამუკა ბერიძე, ზურა ცუხუშვილი, რევაზ ნიკოლაური, დედაქალაქის, დათო დათვიძლი, გიორგი ლუხონიძე, თენგიზ კოკლაძე, ვახო დვალა, გიორგი გერლიანი, რევი ჩიტაშვილი, ნიკა ნარეკლიანი, ირაკლი ნიორაძე, ვალერი ცისკარიძე. კლუბის მენეჯერი ილია ჯაფარიძე, მწვრთნელები არნე ხატი-აშვილი, ალექსანდრე ლაფაიშვილი

ალიმან ლაფაიშვილი

რესპუბლიკურ ტურნირებში გამარჯვებულები

16-17 აპრილს ქ. თბილისში ჩატარდა გიორგი ბაგაურის სახელობის პირველი რესპუბლიკური ტურნირი 1999-2000 წლებში დაბადებულ ქაბუკათა შორის, სადაც მონაწილეობა მიიღეს საქართველოს უძლიერესმა მოჭიდავე გუნდებმა. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ტურნირში წარმატებას მიიღწიეს თბილისის პირველი და მეორე საჯარო სკოლების მოსწავლეებმა, — ამ ტურნირზე მკაფიოდ გამოიკვეთა მიხეილ ბერძინაშვილის სპორტული აქტიურობა, რომელმაც 54 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოიპოვა ტურნირის ჩემპიონის ტიტული, ჯილდოდ კი ერგო საპატოი თასი, მედალი, დიპლომი და 150 ლარიანი ვაუჩერი. ამავე წონით კატეგორიაში კი ვერცხლის მედალი მოიპოვა თორნიკე ასაბაშვილმა, რომელმაც დაიმსახურა საპატოი თასი, ვერცხლის მედალი და 100 ლარიანი ვაუჩერი (ორივე მიღწევის მფორე საჯარო სკოლა). 63 წონით კატეგორიაში პირველი ადგილი დასაკუთრა ნიკოლოზ ბუმბლაშვილმა (მიღწევის პირველი საჯარო სკოლა) და მოიპოვა სიგელი, ოქროს მედალი, საპატოი თასი და 150 ლარიანი ვაუჩერი. უნდა აღინიშნოს, რომ რესპუბლიკურ ტურნირზე მონაწილეობის მისაღებად ეს ბავშვები საკუთარი ხარჯებით წარადგინეს და წარმატებებიც მოიპოვეს. (მწვრთნელე-

ბი მალხაზ როზინაშვილი, გივი მეტრეველი, ვანო ჭანტურიძე).

14-15 აპრილს კი ქ. საგარეჯოში ჩატარდა არსენ მეკოქიშვილის სახელობის რესპუბლიკური ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში 2001-2003 წლებში დაბადებულ ქაბუკათა შორის; ამ ტურნირზეც მონაწილეობას იღებდნენ საქართველოს უძლიერესი მოჭიდავე გუნდები. აქაც, როგორც თბილისში ჩატარებულ ტურნირზე, ჩვენს სპორტსმენებს საკუთარი ხარჯებით მოუხდათ წარადგენა. ამ ტურნირში მონაწილეობდნენ თბილისის საჯარო სკოლის მოსწავლეები. ივანე ტურაშვილმა 32 კგ. წონით კატეგორიაში მოიპოვა ვერცხლის მედალი, ყვარლებმა დათო ქაბუკაშვილმა 46 კგ. წონით კატეგორიაში მოიპოვა ვერცხლის მედალი, ხოლო მესამე საპირბო ადგილი მოიპოვა თორნიკე ასაბაშვილმა 26 კგ. წონით კატეგორიაში. (მიღწევის პირველი საჯარო სკოლა), მესამე საპირბო ადგილები 58 კგ. წონით კატეგორიაში მოიპოვეს ასევე გიორგი ლელუაშვილმა და გურამ ხინაიშვილმა. ამ ტურნირზე ფინანსური პრობლემის გამო ვერ მიიღო მონაწილეობა ყვარლის რამდენიმე წარმატებულმა სპორტსმენმა.

დალი ტატილიძე

საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებული



მიმდინარე წლის 1-3 აპრილს ქ. მარნეულში ჩატარდა საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში ქაბუკათა შორის. ამ შეჯიბრზე მონაწილეობა მიიღო ყვარლის პირველი საჯარო სკოლის 9 წლის ნორჩმა მოჭიდავემ დათო ტურაშვილმა; ტურნირში მას პირველი ხუთი შეხვედრა. დათომ ყველა შეხვედრა დამაჯერებლად მოიგო და დაიკავა პირველი ადგილი. ასეთი საერთაშორისო ტურნირები ნორჩ ფალავანს მოგებული აქვს სამჯერ. პირველი შეჯიბრი მოიგო 23 კილოგრამ წონით კატეგორიაში ქ. ბათუმში, მეორე შეჯიბრი 26 კგ. წონით კატეგორიაში ქ. ამბროლაურში, ხოლო მესამე 29 კგ. წონით კატეგორიაში ქ. მარნეულში. სულ მოკლე დროში 9 წლის ნორჩი ფალავანი მონაწილეობას მიიღებს ქ. საგარეჯოში, ხოლო შემდგომ ქ. თბილისში გამართულ რესპუბლიკურ ტურნირში. (მწვრთნელები ბესიკ სამტაშვილი, ვაჟა ტურაშვილი). ვუსურვოთ წარმატებები და წინსვლა მომავალ პატარა ფალავანს.

დალი ტატილიძე

როგორ „დავითსოთ“ დაავადება ქოთანში — მიიმა სნაულაშვილის ბათავის უფლებების საოცარი ეპოთურული გეოლოგია

ცნობილი ფაქტია, რომ შამანიზმს საფუძველი ათუელ-ათასობით წლის წინ ჩაეყარა. ამ მოძღვრების მიხედვით, არსებობს უკურნებელი და სამიმი დაავადებების ე.წ. ბალახთმკურნალობის თავისებური მეთოდიკა, რომელსაც გარკვეული მაგიური ელემენტებიც ემატება, რაც თავის მხრივ, იძლევა გასაოცარ შედეგს სხვადასხვა ავადმყოფობის მკურნალობის კუთხით.

საამისოდ შამანები დაავადებული ადამიანის შარდს ათავსებენ ქოთანში კონკრეტული მცენარის თესლათაგან. ამის შემდეგ, როგორც კი მცენარე ოდნავ წამოიზრდება, მას ფეხებზე იბანან იღებენ ქოთნიდან და წავავენ (იმ შემთხვევაში, თუკი საქმე სისხლის ან ინფექციურ დაავადებასთან გვაქვს). სხვა შემთხვევაში, მცენარე გამდინარე წყალს უნდა გავატანოთ აუცილებლად.

სამისოდ, რომ მაქსიმალური ეფექტი მოგვეცეს ამ ე.წ. ბალახთმკურნალობაში, აუცილებელია ვიცოდეთ კონკრეტული დაავადების მმართველი პლანეტა და მისი კანონები, რის შესაბამისადაც

ირჩევთ ესა თუ ის მცენარე სხვადასხვა დაავადების განსაკურნავად.

ასე მაგალითად: მთვარის დაავადებები — რვემატიზმი, ალერგია, გართულებული ქრონობები, მენსტრუალური ციკლის დარღვევა, ეგზემა, ეპილეფსია, ლუნატიზმი, დეპრესია, მელანქოლია, ალკოჰოლიზმი.

მცენარეებია — ანემონი, ასტრა, ღურმანი, კამელია, კომპოსტო, სტაფილო, კიტრი.

მარის დაავადებები: ყურის ტკივილები, თირკმლის სისუსტე, გრიპი, ჰემოროი, შაკიკი, რადიკულიტი, მინაგანი სისხლდენა, დიზენტერია, განგებენა.

მცენარეებია: არტიშოკი, ბაზილიკი, ჭინჭარი, ხახვი, შავი წინაკა, ჭარხალი, ნიორი.

მერკურის დაავადებები: თავბრუსხვევა, ენაბრგვილობა, შიშები, სტომატო-



ლოგიური გართულებები ზოგადად, ფურეული. მცენარეებია — პიტნა, გურგინა, მუხუნო, ვარდკაჭაჭა, პომიდორი.

იუპიტერის დაავადებები: გულ-სისხლძარღვთა სისტემის პრობლემები ზოგადად, კუჭ-ნაწლავის პრობლემები, გასტრიტი, ჰაპერტონია, ანგინა, ოფთალმოლოგიური დაავადებები, მონაწევა.

marao.ge



ყვარლის მუნიციპალიტეტი პრივატიზაციის მიზნით აცხადებს აუქციონს ყვარლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ შემდეგ ქონებაზე

ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№ 254 25 / აპრილი / 2016 წ.

ყვარლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზების მიზნით საჯარო აუქციონის გამოცხადების შესახებ

1. გამოცხადდეს უპირობო საჯარო აუქციონის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების მიზნით და დამტკიცდეს აღნიშნული ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების გამოსაკვეთად ინფორმაცია (დანართი N1).

2. დაევალოს ყვარლის მუნიციპალიტეტის საპრივატიზაციო და სააუქციონო კომისიის თავმჯდომარეს მალხაზ ხიზანიშვილს აუქციონის შესახებ ინფორმაციის კანონმდებლობით გათვალისწინებულ საინფორმაციო საშუალებებში გამოქვეყნება.

3. აუქციონის ჩატარება უზრუნველყოს ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 11 მაისის №330 ბრძანებით შექმნილმა ყვარლის მუნიციპალიტეტის „საპრივატიზაციო და სააუქციონო“ კომისიამ.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

5. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია გურჯაანის რაიონულ სასამართლოში ერთი თვის ვადაში (მის: ქ. გურჯაანი, საბაპროის ქ. N24).

საფუძველი: „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზაციო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილება; ყვარლის მუნიციპალიტეტის საკუთრების 2015 წლის 10 თებერვლის N4 დადგენილება „ყვარლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საჯარო აუქციონის ფორმით პრივატიზების, საწყისი საპრივატიზაციო საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესის დამტკიცების შესახებ“ და საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კანონის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი.

ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგებელი ილია მუხეშაშვილი

აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია: მაქსიმალური ფასის შემთავაზება, რომელიც უნდა აღემატებოდეს გამოცხადებულ საწყის ფასს ბიჯის გათვალისწინებით.

2. სააუქციონო პირობები:

1. მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზებისას ქონების შემძენი შეიძლება იყოს საქართველოს ფიზიკური პირი ან კერძო სამართლის იურიდიული პირი ან ასეთ პირთა გაერთიანება, რომლის ქონებაშიც მუნიციპალიტეტის ან საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს მონაწილეობის წილი 25%-ზე ნაკლებია.

2. აუქციონში მონაწილეობის მიღების მსურველი (შემდგომში მონაწილე) აუქციონის რეგისტრატორს წარუდგენს:

ა) განაცხადს, რომელიც შეიცავს ინფორმაციას მონაწილეზე, ყვარლის მუნიციპალიტეტის ქონების დასახელებას, ყვარლის მუნიციპალიტეტის იმ ქონების საწყის ფასს, რომლის შეძენაც სურს მონაწილეს;

ბ) „ბე“-ს გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს; „ბე“-ს გადახდა უნდა მოხდეს ყვარლის მუნიციპალიტეტის შემდეგ საბანკო ანგარიშზე: სახელმწიფო ხაზინა, ხაზინის ერთიანი ანგარიში, სახაზინო კოდი: 300568800 (პრივატიზებისათვის);

გ) აუქციონში მონაწილის ბილეთის ფასი 50 ლარი, საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიში: 200122900; მიმღები ბანკი:

სახელმწიფო ხაზინა, კოდი: 220101222; სახაზინო კოდი: 300563390; 300563313. დ) პასპორტის ან პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლს (ფიზიკური პირის შემთხვევაში); ე) ნოტარიულად დამონმებულ მინდობილობას, თუ მონაწილე მოქმედებს სხვა პირის სახელით; ე) ნოტარიულად დამონმებულ სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლებს და განაცხადის შეტანის მომენტისთვის მოქმედ ამონაწერს სამენარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში).

3. მონაწილეს უფლება აქვს „ბე“-ს დაუკავებლად აუქციონში მონაწილეობაზე უარი განაცხადოს, მხოლოდ განაცხადის მიღების პერიოდში.

4. აუქციონის დამთავრების შემდეგ დგება ოქმი, რომელიც წარმოადგენს ნერილობით ხელშეკრულებას, ოქმს ხელს აწერს მყიდველი და ყვარლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის აუქციონის ორგანიზების მუდმივმოქმედი სააუქციონო კომისიის თავმჯდომარე, როგორც გამყიდველის უფლებამოსილი წარმომადგენელი.

5. თუ აუქციონში გამარჯვებული პირი უარს განაცხადებს აუქციონის შედეგების ოქმის ხელმოწერაზე, მას ჩამოერთმევა აუქციონში გამარჯვებულის სტატუსი და შეტანილი „ბე“ არ დაუბრუნდება.

6. აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია საწყის გასაყიდ ფასზე ბიჯის დანამატის შე-

დეგად მაქსიმალური ფასის გადახდა და აუქციონის პირობების დაკმაყოფილება;

7. აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე გადაიხადოს ყვარლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო საფასური, რომელიც შეესაბამება მის მიერ აუქციონზე დასახელებულ საბოლოო ფასს.

8. გარიგებათა გაფორმების წესი და მყიდველის პასუხისმგებლობა განისაზღვრება საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის 669 დადგენილებისა და ყვარლის მუნიციპალიტეტის საკუთრების 2015 წლის 10 თებერვლის 4 დადგენილების „ყვარლის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად.

9. აუქციონი ტარდება 2016 წლის 1 ივნისს 15 საათზე. აუქციონში მონაწილეობაზე განაცხადების მიღება მიმდინარეობს 2016 წლის 3 მაისიდან 1 ივნისის ჩათვლით 12 საათამდე, სამუშაო დღეებში. მისამართი: ქ. ყვარელი, კუდიგორის ქ. 1

10. დამატებითი ინფორმაცია საპრივატიზაციო ობიექტების და აუქციონი ჩატარების შესახებ შეგიძლიათ მიიღოთ ქ. ყვარელი, კუდიგორის ქ. 1-ში მდებარე ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგებლის შენობის მე-2 სართულზე; ტელეფონი 599 855 993; 595 903 322; ყვარლის მუნიციპალიტეტი.

ლოტის №	ქონების დასახელება და მისამართი	არასასოფლომინის ფართობი (კვ.მ.)	შენობა-ნაგებობის ფართობი (კვ.მ.)	საკადასტრო კოდი	საწყისი ფასი (ლარი)	„ბე“ (ლარი)	ბიჯი (ლარი)	მონაწილის ბილეთი (ლარი)
1.	ქ. ყვარელი, (სათბურებთან)	3088	29	57.06.52.234	11590	2318	580	50
2.	ქ. ყვარელი, (სათბურებთან)	818	18	57.06.52.235	3088	618	155	50
3.	ქ. ყვარელი, ი.ჭავჭავაძის ქ. 69-ში მდებარე ყოფილი სავაჭრო ცენტრი	2998	1)3445; 2)429; 3)30;	57.06.56.133	400000 80000	20000	50	
4.	ს. ენისლის უნივერსიტეტის მე-2 სართული	ნილობრივად	208,1	57.08.54.008.01.500	3203	641	160	50
5.	ქ. ყვარელი, ი. ჭავჭავაძის ქ. 160, რესტორნის მე-2 სართული	ნილობრივად	498	57.06.35.066.01.501	23187	4637	1160	50
6.	ქ. ყვარელი, სააკაძის ქ. 2-ში მდებარე ყოფ. რედაქციის II-ე სართული	ნილობრივად	468.4	57.06.59.080.01.501	22588	4518	1130	50
7.	ქ. ყვარელი (ბურსის მიმდებარე)	735	-	57.06.68.649	4410	882	221	50
8.	ქ. ყვარელი (ბურსის მიმდებარე)	670	-	57.06.68.653	4020	804	201	50
9.	ქ. ყვარელი (ბურსის მიმდებარე)	775	-	57.06.68.652	4650	930	233	50
10.	ქ. ყვარელი (ბურსის მიმდებარე)	774	-	57.06.68.651	4644	929	232	50
11.	ქ. ყვარელი (ბურსის მიმდებარე)	774	-	57.06.68.650	4644	929	232	50
12.	ქ. ყვარელი (ბურსის მიმდებარე)	711	-	57.06.68.648	4266	853	213	50
13.	ქ. ყვარელი (ბურსის მიმდებარე)	665	-	57.06.68.647	3990	798	200	50
14.	ქ. ყვარელი (ბურსის მიმდებარე)	620	-	57.06.68.646	3720	744	186	50
15.	ქ. ყვარელი (ბურსის მიმდებარე)	575	-	57.06.68.645	3450	690	173	50
16.	ქ. ყვარელი (ბურსის მიმდებარე)	655	-	57.06.68.644	3930	786	197	50
17.	ქ. ყვარელი (ბურსის მიმდებარე)	881	-	57.06.68.642	5286	1057	264	50
18.	ქ. ყვარელი (ბურსის მიმდებარე)	693	-	57.06.68.643	4158	832	208	50
19.	ქ. ყვარელი (ბურსის მიმდებარე)	826	-	57.06.68.641	4956	991	248	50
20.	ქ. ყვარელი (ბურსის მიმდებარე)	705	-	57.06.68.640	4230	846	212	50
21.	ქ. ყვარელი (ბურსის მიმდებარე)	705	-	57.06.08.638	4230	846	212	50
22.	ქ. ყვარელი (ბურსის მიმდებარე)	705	-	57.06.68.639	4230	846	212	50
23.	ქ. ყვარელი (ბურსის მიმდებარე)	705	-	57.06.68.637	4230	846	212	50
24.	ქ. ყვარელი (ბურსის მიმდებარე)	705	-	57.06.68.636	4230	846	212	50
25.	ქ. ყვარელი (ბურსის მიმდებარე)	705	-	57.06.68.635	4230	846	212	50
26.	ქ. ყვარელი (ბურსის მიმდებარე)	705	-	57.06.68.634	4230	846	212	50
27.	ქ. ყვარელი (ბურსის მიმდებარე)	685	-	57.06.68.633	4110	822	206	50
28.	ქ. ყვარელი (ბურსის მიმდებარე)	701	-	57.06.68.632	4206	841	210	50
29.	ქ. ყვარელი (ბურსის მიმდებარე)	700	-	57.06.68.631	4200	840	210	50
30.	ქ. ყვარელი (ბურსის მიმდებარე)	700	-	57.06.68.630	4200	840	210	50
31.	ქ. ყვარელი (ბურსის მიმდებარე)	2454	-	57.06.68.629	14724	2945	736	50

მალსაზ ბრიგალაშვილის ბასსენება

დაკადების დღეს და აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს გილოცავ, სიპიტო!



სიციოცხლებე, სიპო. ვეფერები, ვეფერებო... შენი ნაღვლიანი თვალებით და კეთილი გულით მათობო. პირველი მაისი შენი დაბადების დღეა, 53 წელი შეგისრულდება და ბრწყინვალე აღდგომაც, ყველა მოვალთ და ტკივილით და ცრემლით მოგილოცავთ ჩვენი სიპიტო...

ოჯახი

დარი, ტკივილი და ცრემლი — ეს სიტყვები გახდა ჩემი ცხოვრების თანამგზავნი მას შემდეგ, რაც ასე უდროოდ ნახვედი და დამტოვე, ჩემო საყვარელო სიპო. არ შემძლია შენზე წარსული ვილაპარაკო, მე ხომ ყოველდღე შენით ვცოცხლობ, გესაუბრები, მე ხომ შენ გამზარდე, ყველგან შენ გხედავ. ჩვენი შვილები ქეთი და ზუნია სულ იმას ცდილობენ შენ დაგემგვანონ, შენით ამაყობენ. ვცდილობ გავემგვარდე, ცრემლი დაემალო, რომ უშენოა გაფუადვილო. შენი მეგობრები სულ ჩვენს გვერდით არიან, შენი სახელით მიწადა მათ მადლობა მოვუხადო, მათთვის ილოცე. როცა უშენობას ვეღარ ვუძლებ, საფლავზე მოვდივარ, ახლა მანდ არის მთელი ოჯახი — დედა, მამა, ზუნია და შენ, ჩემო მოუშუშებელი ტკივილი, ჩემო

ლია იაშვილი-სარაშვილის მონატრება

ჩვენი საყვარელი დედა, 20 წელი გავიდა შენი გარდაცვალებიდან, შენ ხომ სიციოცხლისა და სიყვარულის ეტალონი იყავი, კარგი დედა, კარგი მეუღლე და კარგი მასწავლებელი, მოსწავლეები შენზე უზომოდ შეყვარებულნი. შექმენი ბრწყინვალე ოჯახი, მათ მოთხოვნებს ფანტასტიურად ასრულებდი, იყავი თავმდაბალი და ნათესავებში დაფასებული პიროვნება, განიცდიდი ნათესავების ტკივილსა და სიხარულს. დედა, შენს სსოვნას დაეინყება არ უწერია. ყვარლის საზოგადოებამ, შენმა მოსწავლეებმა გულის ტკივილით გაგაცილეს უკანასკნელ გზაზე. ყოველი დღე შენს ხსენებაში ვართ. გვენატრები უზომოდ.



შენი შვილები: ნინო, მია, ხატია ხარაშვილები

ეთარ ყიფშიძის ბასსენება

დედა! მეორე წელი დაიწყო რაც ამ ქვეყნიდან ნახვედი, — 68 წელი იცხოვრე მხოლოდ. ჩვენითვის ძალიან ძნელია ვიცხოვროთ უკვე შენზე მოგონებებით. ჭიკაძეში დაბადებულმა და გაზრდილმა მეორე ნახევარი წინკანაანთსერში იბოგე. მუდღესთან, ბეჟანთან ერთად ენოდი ცხოვრების ჭაბანს. სამ შვილს მოვლა და შენახვა უნდოდა და მუხლჩაუხრელად ზრუნავდი მათზე. რა არ გეხერხებოდა, იყავი, რომ იტყვიან ნამდვილი ქართველი ქალი. არაფერს არ თაკილობდი, ოჯახისთვის რაიმე რომ არ მოგეკლო. წინკანაანთსერის საჯარო სკოლის დაწყებითი კლასების მასწავლებლად მუშაობდი და შენი ცხოვრება პატარების აღზრდა-განათლებას შეაღიე. შენი ნასთილი შენს კოლეგებსა და პატარებსაც დაეწყვიტე გული. მოგაკვლი ყველას და ჩვენს გულში მოუშუშებელი იარად დარჩი. დედა, გაირდები, რომ შენს შვილიშვილებს შენი შვილები არაფერს არ მოგაკლებთ, შენს წილ სიბოძას გაუზნაწილებთ და უბეზობას არ ვაგრძობინებთ. მაგრამ, მამაა ცოდო, — ჩვენ ყველას ჩვენი ოჯახები გვაქვს, შორსაც ვცხოვრობთ,




ის კი ახლა მარტო დარჩა, რომელსაც ძალიან განიცდი. ყოველი წლის ივნისის თვეში კი უშენოდ აღვნიშნავთ ხოლმე შენს დაბადების დღეს. ჩვენგან დაბრუნებული სანთლები კი გაგინათებენ გზას მარადიულ სასუფეველში. გვიყვარხარ, დედა!

ოჯახი

ნანა გოგინაშვილის ბასსენება

ნანა, მოვიდა გაზაფხული, რომელსაც პირველად უშენოდ ვხვდებით. წელიწადის ყველა დრო ჩვენითვის აღარასოდეს იქნება ლამაზი და სიხარულის მომტანი. რა ნაადრევად დატოვე ეს წუთისოფელი, ამას როგორ წარმოვიდგენდი. რა სწრაფად გარბის დრო. უკვე გავიდა ჩვენი ტკივილიანი და სევდიანი 8 თვე. შენი სიციოცხლის მანძილზე ბევრი რამ გვაკეთე, მაგრამ უფრო მეტი განუხორციელებელი ოცნება დარჩა. სკოლაში წარჩინებულ მოსწავლედ ითვლებოდი, საუკეთესო სტუდენტიც გახდი. შემდგომ კარგი სამსახურიც გქონდა — თბილისში გადასვლის შემდეგ მუშაობდი ვაკე-საბურთალოს რესურსცენტრის უფროსის სპეციალისტად, თანამშრომლების, საზოგადოების დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურე, მაგრამ ახლა ყოველი შენი მოგონება თვალცრემლიანი გავიხდა. გული ატკინე შენს ერთადერთ მშას თემურის, შორიშორის მყოფებმა ერთმანეთი ვერ მოისურველეთ. გაუფერულდა უშენოდ ყველაფერი, ნანა. ჩვენმა დანთებულმა სანთლებმა გაგინათოს გზა მარადიულ სასუფეველში.



გოგინაშვილების ოჯახი

ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ ყვარლის №21 საჯარო სკოლის დირექტორი და პედაგოგიკური თანაგრძობის უცხადებენ ამავე სკოლის პედაგოგებს ნუნუ ჩახნაშვილს და ლელა ჩაბალოშვილს შვილისა და მამამთილის, ღაპიო ჩახნაშვილის გარდაცვალების გამო.

ნუკრი ფილოშვილი ოჯახით მწუხარებაში თანაგრძობის დავით და თემურ ქაფიანიძეებს მამის შალვა ქაფიანიძის გარდაცვალების გამო.

ნაირა, მანანა ბადურაშვილები ოჯახებით მწუხარებაში თანაგრძობენ ჩახნაშვილების ოჯახს ღაპიო ჩახნაშვილის გარდაცვალების გამო.

თემურ და ნინო ბერიანიძეები ოჯახით მწუხარებაში თანაგრძობას უცხადებენ ნუნუ და ზაურ ჩახნაშვილებს შვილის ღაპიო ჩახნაშვილის გარდაცვალების გამო.

ზაირა და ლელა ვარდიაშვილების ხსოვნას

ამბობენ, შვილებო, წუთისოფელი მიზანს აცდენილი ისარივით მიჰქრისო. მართლაც უცაბედად ჩაიქროლა ცამეტმა და ათმა წელმა თქვენს მონატრებაში. მე კი გუშინდელი დღე მგონია ის ავბედითი დღე, რომელმაც დედა-შვილი ბებია-შვილივითი საზღვარგარეთ დაგვაშორა ერთმანეთს. ყურებში ისევ იმ ტრაგედიის ხმაური მაქვს დარჩენილი. რა დიდი სასჯელი მერგო მე უბედურს, დაგზარდეთ შვილები და ხილვა შენატრება თქვენი.



შვილო, შენი სამეგობრო შენს ოქროს თითებს ნატრობს. ხშირად იციან, ლელა, შენი გამომცხვარი ტორტი მოგვცხატარო, შენს მიერ გადაკეთებული მარვალკოსტუმო. მე თქვენს საფლავზე ვიკლავ თქვენს სიყვარულს. ყოველდღე და ყოველ მეორე დღეს გინთებთ სანთელს, თქვენს

საფლავებს ვეფერები, თქვენს ყვავილებს. დადგა შვილო, არილი, შენი დაბადების დღეც. ისევ მე უბედური, მოვედი 21-ში და მოგილოცე დაბადების დღე, დაგინთეთ უაზრავი სანთელი და უფალს შევთხოვე ნათელი არ მოგაკლით ორივეს. თქვენი უბედური ბებო ნანი

ასპინძის ბრძოლა — რუსული ღალატი და ბრწყინვალე ქართული გამარჯვება

1768-1774 წლებში რუსეთსა და ოსმალეთს შორის ომი მიმდინარეობდა. ქართველები და მათ შორის ერეკლე II და სოლომონ I იმედით უყურებდნენ მოვლენებს და, რა თქმა უნდა, ერთმორწმუნე რუსეთის მხარეს აპირებდნენ ბრძოლას. ასეც შეთანხმდნენ. 1769 წლის 21 მაისს თბილისში რუსეთის წარმომადგენელმა ზვანაშვილმა (ყოფილი ქართველი ქობულაშვილი) და ქართველმა მეფეებმა გადამწყვეტილი ერთიანი ძალებით შექმნილი მტრისათვის. ქართველებს იმედი ჰქონდათ, რომ დაიბრუნებდნენ მიტაცებულ მიწებს, ლეკიანობას შეწყვეტდნენ და სხვა. რუსებს კი უნდოდათ. ქართველებს აღმოსავლეთის ფრონტი გაეხსნათ ოსმალებისათვის, ამით ბალკანეთის მიმართულებით ბრძოლა გაუადვილებოდათ.



შეთანხმების საფუძველზე, 1769 წელს დარიალის მხრიდან, საქართველოში შემოვიდა რუსული სამხედრო ნაწილი, 480 კაცი, რომელთაც გენერალი ტოტლებენი მეთაურობდა. 1770 წელს ამ ნაწილს დაემატა 3762 კარისკაცი. ეკატერინე II-ს და რუსულ იმპერიას იმედი ჰქონდა რომ ქართული საომარი ძალით მაღლევდნენ მიზანს, თორემ 4242 ჯარისკაცი რა გამოსავლავი იყო, როდესაც ოსმალებს ათი ათასობით მეომრის გამოყვანა შეეძლო.

1770 წლის მარტის ბოლოს რუსთა და ქართველთა ნაწილები დაიძრნენ მესხეთისაკენ. მეფემ რუსების იმედით ზარბაზნები თბილისში დატოვა. 14 აპრილს აიღეს სადგერის ციხე. 17 აპრილს ქართველები ერეკლე მეფისა და რუსები გენერალი ტოტლებენის ხელმძღვანელობით ანჟურის ციხეს მიადგნენ. ქართველთა ნიჭიერმა სარდალმა იცოდა, რომ მთავარი იყო საფაშოს ცენტრის, ახალციხის ალბა, რის მერცხლე ბორჯანიზებული მტრის დამარცხება მთელ მესხეთში გაადვილებდა. ტოტლებენი ანჟურის ალბას ითხოვდა. რა ექნა სანყალ ქართველ მეფეს, დათანხმდა. დაბანაკდნენ. ახალციხის ფაშამ 18 აპრილს ანჟურის ციხეში გარნიზონს 2 000 ჯარისკაცი დაამატა. მეორე დღეს ტოტლებენმა თავისი რუსული ნაწილი აჰყარა და ბრძოლის ველს გაშორდა. ქართველი მეფე ვიგინდარა გარუსებულ გერმანულს ბევრი ეხვეწა, მაგრამ ვერ მოაბრუნა. ამის შემდეგარე, თურქები გათანამდნენ.

ლო-ლეკებს და მტკვარამდე მიყარეს. ათასამდე კაცი მოკლეს, ხუთასმა ძლიერ გაასწრო. ამ დროს მტკვრის მარცხენა ნაპირიდან ოსმალებისა და ლეკების მთავარი ძალა ნამოვინა და შეუტია ქართველებს, 8 000 კაცი. ამ ჯარის დიდ ნაწილს ნიჭიერმა სარდალმა ერეკლემ მტკვარზე გადმოსვლის საშუალება მისცა, თითონ მალაღობი დაიკავა. თურქებს ხელმძღვანელობდნენ არტანუჯ ბექირბეგი, გოლა ფაშა, შვემეთის, კარცხლისა და ოლთისის ფაშები და სხვა სანჯაყ-ბეგები. ლეკებს კობტა ბელადი (მალაჩილა), უსუფ ბელადი, ჰაჯი მამედი და ყურმუხის მთავრის შვილი გაპტაი, რომელიც თურქეთის ხონთქარს თბილისის ფაშად უნდა დანიშნა...

დენიმი ათეული მაჰმადიანი გადაურჩა სამშობლოს თავისუფლებისათვის მებრძოლებს.

ლაშით, ნიჭიერმა ქართველმა მეფემ ალბაა ერისთავს, სვიმონ მუხრანბატონს, და სუდია ბორჩლოელს დაავალა ხიდის დაზიანება. მათ დახოცეს გუშაგები და მტკვარზე ხიდის თავები (ბოძები) გადახერხეს. ამით, მამული ჯარი ვერ დაესმარებოდა ოსმალო-ლეკებს და არც გასაქცივე გზა დარჩებოდა.

ქართველსაც დაეღუპათ ვაჟაკები. ბევრი არა, მაგრამ, მათ შორის ერეკლე მეფის ძევი და გამოცდილი თანამებრძოლები, რამაც დიდად ატკინა გული მეფეს. ტოტლებენს, ალბა, გეგმად ჰქონდა ერეკლე II-ის დაღუპვა და რუსული იმპერიის საქმეების მოვარება საქართველოში. ერეკლე მეფემ თითქმის ვერ ისარგებლა ასპინძის ომის გამარჯვებით. მას აფიქრებდა ტოტლებენის გეგმები. 29 აპრილს უკვე თბილისში იყო. ტოტლებენი ანაწურში ასულიყო და რუსეთიდან ახალ ჯარს ელოდა. ასეთმა ვითარებამ, კიდევ უფრო გაამწვანა იმპერიის მსახური. გადამწყვეტი ერეკლე II ტახტიდან ჩამოგდო. ციხე-სიმაგრეებს იჭერდა და ხალხს რუსეთის ხელმძღვანელს ერთგულებაზე დაფიცებას სთავაზუნდა. ზოგიერთი ქართველი თავადიც მიიმხრო (არ დავასახლებლთ მათ გვარებს). ერეკლემ მეფემ შეძლო მისი დაშინება. მერე ტოტლებენი იმერეთში გადავიდა. იმერეთის მეფესთანაც ინტრიგანობა და თავხედობა დაიწყო.

იმპერიის მსახურმა დიდ შარში და განსაცდელში ჩააგდო ქართველობა და მერე ღალატით მარტო დატოვა გააფთრებული მტკვრით. მეფემ უაზროდ მიიჩნია ანჟურის შეტევა და გამობრუნდა ქართლისაკენ. მიუყვებოდა მტკვრის მარჯვენა მხარეს. მისი ძალები საკმაოდ მცირე იყო, სულ 3 000 მეომარი ჰყავდა. ესეც უნდა დაეყო მტრის თავდასხმის მოლოდინში. თანაც თუ რუსები არ შეეშველდნენ, ყიზილბაშების მტრობას ქართლ-კახეთისთვის ოსმალების შემოსევებიც დაემატებოდა.


დღითი ბრძოლა დაიწყო. ერეკლე მეფე ცენტრში იდგა, მარცხენა ფლანგს ერეკლეს უფროსი ვაჟი, მომავალი მეფე გიორგი XII ხელმძღვანელობდა. მარჯვენა ფლანგს დავით ორბელიანი. მტრის ცენტრალურ ნაწილს კობტა ბელადი — მალაჩილა სარდალმა, მარჯვენა მხარეს არტანუჯ ბექირბეგი, მარცხენას გოლა ფაშა. მარჯვენა და მარცხენა ფლანგებზე მუშტის და გამარჯვებს ქართველებმა. ცენტრში ლეკები მედგრად იბრძოდნენ. მალაჩილამ ერეკლე მეფე ორთაბრძოლაში გამოიწვია და თავი დაკარგა კობტა ბელადმა. მაჰმადიანებმა უკან დაიხიეს, ხიდი 9 ჩაინგრა და მრავალი წყალმა წაიღო.

რუსეთის ომი ჰქონდა და მნიშვნელოვანი მოკავშირის დაკარგვა არ უნდოდა, მით უმეტეს, მართლმადიდებლურ სამყაროში სახელმწიფო გაუტყდებოდა ომის დროს. ტოტლებენი გაიწვიეს და მის მაგივრად მასზე არცთუ ნიჭიერი სუხოტინი გამოგზავნეს. რომელმაც სრულად უაზროდ, ავანტიურისტულად, ქართველების რჩევის გაუთვალისწინებლად ბევრი რუსი შეანყიბა ფოთის ციხეს. 1772 წელს რუსული ნაწილები საქართველოდან გავიდა და გაულისწილ ოსმალებს შეატოვა ქართველობა. ხონთქარმა 5000 ჯარისკაცი შემოუსია იმერეთს, მაგრამ ბრწყინვალე სარდალმა სოლომონ პირველმა მათი დიდი ნაწილი გაანადგურა.

ბევრი შეშინდა და გაცურვა სცადა, მაგრამ ადგილებზე მტკვარმა დააბრჩო. ქართველებმა ბოლომდე შეუტეს, საქმე ბოლომდე მიყვანეს და ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს. 25 დრომა და ალაფი ჩაიგდეს ხელი. აბსოლუტური უმრავლესობა მტრისა მოისრა, მხოლოდ რამ-

ბის მაგალად

შთამოავლობა უთუოდ დააფასებს ღვაწლს, რომელიც მერაბ სეფაშვილმა ყვარლის აღმშენებლობას უანგაროდ შეაღწია



ყვარლის სახელოვან შვილთა პლეადას კიდევ ერთი ღირსეული მამულიშვილი გამოაკლდა. მოულოდნელად გარდაიცვალა ყველასათვის საყვარელი პიროვნება მერაბ სეფაშვილი, რომელმაც შინაარსიანი და საამაყო ცხოვრების გზა გახვეწილი ამ წუთისთვის.

როგორც ბიოგრაფიული მონაცემები გვიჩვენებენ შესაშური და ამავე დროს ბრწყინვალე კარიერული გზა გაიარა ბატონმა მერაბმა თავისი ხანმოკლე ცხოვრების მანძილზე. ყვარლის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მუშაობდა დაინფო „ქინძმარაულის“ ღვინის ქარხანაში მუშად. 1970 წელს წარმატებით ჩააბარა მისაღები გამოცდები თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში და 1975 წელს ელექტროინჟინრის სპეციალობით დაუბრუნდა მშობლიურ რაიონს. იმავე წელს მუშაობას იწყებს ყვარლის სოფლის მეურნეობის სამმართველოში ინჟინრის თანამდებობაზე. 1975-76 წლებში მოიხატა სამხედრო სავალდებულო სამსახური და მუშაობას კვლავ აგრძელებს სოფლის მეურნეობის სამმართველოში ინჟინრის თანამდებობაზე.

1980 წელს აირჩიეს ყვარლის კომკავშირის რაიკომის პირველ მდივანად, სადაც გამოამუშავა უდიდესი

ორგანიზატორული ნიჭი და მაღალი პასუხისმგებლობა დაკისრებული მოვალეობისადმი. 1983 წელს გადაწყვეტილი პარტიის ყვარლის რაიკომში სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგედ, ხოლო 1986-89 წლებში ყვარლის „საქ-სოფლტექნიკის“ გაერთიანების დირექტორია. შემდგომში დაინიშნურეს ყვარლის აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარის პოსტზე, საიდანაც გადაწყვეტილი ყვარლის „ქინძმარაულის“ საწარმოო გაერთიანების დირექტორად. ამ თანამდებობაზე მუშაობის პერიოდში დაამთავრა მოსკოვის კვების მრეწველობის ინსტიტუტი ინჟინერ-ტექნოლოგის სპეციალობით. 1993 წლიდან მუშაობს საკონიაკე სპირტების ქარხნის დირექტორად, 1996 წლიდან კი შპს „ძველი გვირაბის“ დირექტორად.

ბოლო წლებში, სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე მუშაობდა შპს „სოკარ-ჯორჯია გაზი“ კახეთის რეგიონალურ ოფისში ტექნიკური ზედამხედველობის სპეციალისტად.

ბატონ მერაბს უამრავ ადამიანთან უხდებოდა ურთიერთობები, ყოველთვის იცავდა სუბორდინაციას, შეურაცხყოფას არავის მიაყენებდა და ტკბილი სიტყვით უფრო მეტ საქმეს აკეთებინებდა თანამშრომლებს. ამიტომაც უყვარდათ და უდიდეს პატივს სცემდნენ მას, როგორც ხელმძღვანელს.

განუზომელია მერაბ სეფაშვილის ღვაწლი და დამსახურება არა მარტო სოფლის მეურნეობაში და მეღვინეობაში, არამედ ახალგაზრდობის განათლებასა და აღზრდის საქმეში, რომელთა წინაშე არსებული პრობლემების მოგვარებას მთელი თავისი შეგნებული ცხოვრების უდიდესი ნაწილი მოახმარა.

და მაისც განსაკუთრებულად, თავისი პიროვნული ღირსებებით იყო შემკული — მშვიდი, დარბაზული, ოუმორით შემკული, უბრალო მეგობარი, მარად მზარში მდგომი. იყო შესანიშნავი თამადა, სუფრას ისე წაიყვანდა, ყველა სულგანაბლი უსმენდა, რადგანაც ცხოვრებისეულ ანეგდოტებს ისე ლამაზად მოჰყვებოდა, პაროდის თეატრის მსახიობებს შეშურებოდათ. ამიტომ იყო მუდმივად სიცოცხლე-ხარხარი მერაბ სიმონიანთან ქვიფის დროს და ამიტომაც გვიყვარდა მე-



ქართულ სუფრას, იშვიათად იმეტებდა თავს, მაგრამ ისე მოილხენდა და მოგვალხენდა, რომ ყველას გვაყინებდა და ცხოვრებისეული პრობლემები.

მის ჯანმრთელობას უდიდესი დარტყმა მიაყენეს დედამამშვილების ჯერ ბატონი ლევანის, შემდგომ ქალბატონი ლიანას, ხოლო რამდენიმე თვის წინ სიძის, ცნობილი ვეტერანი ფეხბურთელის ომარ სამიტაშვილის ნაადრევად გარდაცვალებამ.

ალარ არის ჩვენს გვერდით მერაბ სიმონიანი, ნაადრევად 64 წლის ასაკში მიგვატოვა ყველა, თავისი ულამაზესი ცოლშვილი, სანათესაო, სამეგობრო. ისე წავიდა იმ ქვეყანად, რომ ვერ მოეფერა საკუთარი შვილის გიორგის მომავალს, შვილიშვილებს.

და რა უმძიმესია იმის წარმოდგენა, რომ უდიდესი სიყვარულით აღსავსე მოქალაქე და მეგობარი გვერდში აღარ გვეყვლება.

„ვისაც უნდა, რომ ღმერთი ასახელოს და ადღოს, იმან ორი სახელი უნდა იქონიოს; ერთი აქ დასარჩენი, მეორე თან ნასაღები“, — დიდი ილიას ეს სიტყვები სრულიად მისადაგება ბატონი მერაბ სეფაშვილის პიროვნებას, რომელმაც ნათელი კვალი დატოვა ამ ქვეყნად და რომლის განუყოფელი ხანმოკლე გზა არდავინების მარაგანდებით შემოსავს მის სულს.

ალალი იყოს შენთვის მაღლიანი ყვარლის მინა, მარადილად სასუფევლოში დაამკვიდროს ღმერთმა შენი სპეტაკი სული.

მეგობრების სახელით ალექსანდრა გიგილოშვილი



გობრებს უზომოდ, ვცდილობდით მისთვის პატივისცემა არ მოგვეკლო.

სიცოცხლის ბოლო წლებში შაქრის ავადმყოფობამ დაგვიჩაგრა ბატონი მერაბი და ხშირად თავს არიდებდა

გეგმვით

ყველაფერს აქვს დასაწყისი და დასასრული, მათ შორის ადამიანის სიცოცხლესაც, მაგრამ ამ წუთისთვის განვლილი გზის საზომი შინაარსიანად გატარებული ცხოვრებაა. მერაბ სეფაშვილმა შინაარსიანად და ვაჟკაცურად იცხოვრა. უქმად და ფუჭად ერთი წუთითაც არ დაუკარგავს. ვერ იპოვით მასზე ნაწყენ ადამიანს, უხაროდა სიკეთის კეთება, მეგობრების გვერდში დგომა, უკანასკნელ ლუკმას გაუყოფდა მოყვასს.

ყველა მეგობარს, ყველა ყვარელს სამუდამოდ დარჩება ხსოვნაში მისი ვაჟკაცური სახე, მასთან ერთად გატარებული სასიამოვნო და დაუვიწყარი დღეები. უზომოდ თბილი, საიმედო თანამდგომი ჭირსა თუ ლხინში, ამაყი, მაგრამ ყოველთვის თავმდაბლი, დებუნნილი ინტელიგენტი და სულით მაღალი, უშურველად რომ შეეძლო სიკეთის კეთება. ამიტომაც ჩვენ მთელი ცხოვრება გავყვებოდა მერაბ სეფაშვილის სიბოძო და სიყვარული.

წავიდა და თან წაიღო სიკეთით სავსე გული, რომელიც ყველას სიყვარულს იტევდა. შეუერთდა მარადისობას და გვიანდა გვეჯიროდეს, რომ ახლა იმ ქვეყანაშია, სადაც სიცოცხლე დაუსრულებელია და ყველა ტკივილი გაყურებული.



კაცურად იცხოვრა ამ ქვეყანაზე, კაცურად გაიარა გზა წუთისთვის დასასრულამდე. უამრავი ადამიანის სიყვარული და ცრემლის ზღვა გაიყოლა მარადიულ სასუფევლოში.

კიდევ ერთი ღირსეული კაცი და მამულიშვილი დააკლდა ყვარელს!

ბეგრჯერ მოგვენატრება მისი ღმირი, მეფარული და სხარტი ოუმორი, მისი

სიკეთე და გვერდში დგომა... მაგრამ ვაი, რომ ვეღარ ვიხილავთ...

სიკვდილით არ მთავრდება ყველაფერი, სიკვდილით სიცოცხლე ფასობს მხოლოდ. არასოდეს დაგივიწყებთ მის ნათელ სახელს!

ალიანა ლაზარაშვილი, ლევან გამასახურდია, გიორგი შაველაძე

ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულო და გამგეობა ღრმად მწუხარებით იუნწყებიან, რომ გარდაიცვალა საზოგადოებრივი ცხოვრების, ქვეყნისა და რაიონის აღმშენებლობის აქტიური მონაწილე, ჭეშმარიტი მამულიშვილი მერაბ სეფაშვილი და თანაუგრძობონ მის ოჯახს და ახლობლებს.

შპს „სოკარ-ჯორჯია გაზი“-ს დირექტორი იუნწყება, რომ გარდაიცვალა „სოკარ-ჯორჯია გაზი“ კახეთის რეგიონალური ოფისის ტექნიკური ზედამხედველობის სპეციალისტი მერაბ სეფაშვილი და თანაუგრძობონ ოჯახსა და ახლობლებს.

შპს „სოკარ-ჯორჯია გაზი“ კახეთის რეგიონალური ოფისის დირექტორი და თანამშრომლები ღრმად მწუხარებით იუნწყებიან, რომ მოულოდნელად გარდაიცვალა ყვარლის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისა და თანამშრომლებისათვის უსაყვარლესი პიროვნება მერაბ სეფაშვილი და თანაუგრძობონ ოჯახსა და ახლობლებს.

მიხეილ და თამილა სამხარაულები იუნწყებიან, რომ გარდაიცვალა ოჯახის უახლოესი მეგობარი მერაბ სეფაშვილი და მწუხარებაში თანაუგრძობონ ოჯახსა და ახლობლებს.

ვანო და მარინა სამხარაულები მწუხარებაში თანაგრძობას უცხადებენ მანანა ოზაშვილს, შორენა და გიორგი სეფაშვილებს მეუღლისა და მამის მერაბ სეფაშვილის გარდაცვალების გამო.

სულიკო, ნუნუ და ოთარ ბაბლოშვილები ღრმად მწუხარებით იუნწყებიან, რომ გარდაიცვალა უახლოესი ნათესავი მერაბ სეფაშვილი და მწუხარებაში თანაუგრძობონ მეუღლეს მანანა ოზაშვილს, შვილებს: შორენა და გიორგი სეფაშვილებს მეუღლისა და მამის უდროოდ გარდაცვალების გამო.

თამარ ზურაბაშვილი და ზაურ ცუცილაშვილი ოჯახით მწუხარებაში თანაუგრძობენ მანანა ოზაშვილს, შორენა და გიორგი სეფაშვილებს მეუღლისა და მამის მერაბ სეფაშვილის უდროოდ გარდაცვალების გამო.

გიორგი და მანანა მხეჭელაშვილები ოჯახით მწუხარებაში თანაგრძობას უცხადებენ მანანა ოზაშვილს, გიორგი და შორენა სეფაშვილებს მეუღლისა და მამის მერაბ სეფაშვილის გარდაცვალების გამო.

რძალი ქეთინო რუსიაშვილი, შვილები: გელა, ევა სეფაშვილები, რძალი ნინო ფანჩულიძე, სიძე კახა ჭამიაშვილი, შვილიშვილები: ოთო, ლევანი, ქეთია, რძლები: ანა, მაგდა, სიძე ზვიადი ახალაია ოჯახებით მწუხარებით იუნწყებიან, რომ გარდაიცვალა მერაბ სეფაშვილი.

გივი ქართველიშვილი ოჯახით ღრმად მწუხარებით იუნწყება უახლოესი მეგობრის მერაბ სეფაშვილის გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახს.

ილია ჭავჭავაძის ყვარლის სახელმწიფო მუზეუმის თანამშრომლები იუნწყებიან მერაბ სეფაშვილის გარდაცვალებას და თანაგრძობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. დამფუძნებელია ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულო, ხოლო გამომცემელი შპს „მედია ცენტრი“. გაზეთში გამოქვეყნებული წერილების ავტორთა თვალსაზრისი შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციისას. ავტორები თავად აგებენ პასუხს მასალაში მოტანილი ფაქტების, არგუმენტებისა თუ ციტატების სიზუსტეზე.	დირექტორი ალექსანდრა გიგილოშვილი მონადგლე ნუგზარ ღონიაშვილი	პასუხისმგებელი მდივანი ია გიგიაშვილი კორესპონდენტი დალი ტატულიშვილი	რედაქციის მისამართი: ქ.ყვარალი, კუდიბორის №2 საკონტაქტო ტელეფონი: 22-01-86
--	--	--	---